# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ფრთხილობით და ჭკუით ბეჭდვის გაძღოლა ყველა უპირატესობაზე უპირატესია.

ოთხშაბათი, 6 თებერვალი. 2019 წ. №25 (8691) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## ლევიათანი და არსენა



4

## სახელმწიფო, რომელიც მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს...



**ოლიგარქია მართული ანარქიაა, მმართველობის უკუღმართი ფორმა, როდესაც ხელისუფლება არის, მაგრამ სამართალი არ არის. უფრო სწორად, სამართლის ორმაგი სტანდარტია: ხელისუფალთათვის ერთი სამართალია, ხალხისათვის — სხვა სამართალი.**

**ლევიათანი, ზღვის ურჩხული, სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლოა. არსენა, ყაჩაღი — კეთილი ძალის სიმბოლო. უკეთური ძალა ბოროტებაა: „ძალა მოვიდა, სამართალი ბანში ავიდაო; უძლური სიკეთე — უმადლობა: „ვაი — სიკეთის მქნელსაო“. სახელმწიფოს იდეალი ძლიერებისა და სიკეთის სინთეზია.**



## კარი ღიაა, ვისაც წასვლა უნდა, შეუძლია, დატოვოს!



— ამ განცხადებით კახა კალაძე საპარლამენტო უმრავლესობიდან გედევან ფოფხაძის შესაძლო წასვლას გამოეხმაურა. კალაძე ამბობს, რომ მათ პოლიტსაბჭოს სხდომაზე გუნდში არსებული ყველა პრობლემური საკითხი განიხილეს, მათ შორის განხილულ იქნა მოსამართლეთა უვადო გამწესების საკითხიც.

**„ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი ამბობს, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ პროტესტისა და უკმაყოფილების გრძნობა, შეუძლიათ, წავიდნენ. „თუ ვინმეს უნდა უმრავლესობის დატოვება, კარი ღიაა და შეუძლია დატოვოს“,** — ამბობს პარტიის გენერალური მდივანი.

## ბესელიამ კალაძის ნათქვამი ნამეტნავად გაა-ანომალია!

**„სტუმარი მასპინძელს რომ ეტყვის მიბრძანდიო, ანომალიასთან გვაქვს საქმე“,** — ასე პასუხობს ეკა ბესელია „ქართული ოცნების“ გენერალურ მდივანს კახი კალაძეს. ბესელია აცხადებს, რომ პარტიის გენმდივანი „ასე არ უნდა საუბრობდეს“.



**„რას ნიშნავს, არ გიღირს შენი თანაგუნდელი? მე არ ვარ სტუმრად მისული. უკაცრავად, მაგრამ მე დავხვდი იმ ხალხს, ვინც მოვიდა. ამიტომ სტუმარს შეიძლება უთხრა, თუ ვერ ხვდება, მიბრძანდი... თუ მასპინძელი გადაწყვეტს, რომ სხვაგან წავიდეს, გადაწყვიტოს თვითონ. ამიტომ არ ველაპარაკოთ ასეთ ტონალობაში ერთმანეთს“,** — ამბობს ბესელია.

## თითოეული კანონი იქმნებოდა თითოეულ ოჯახში კეთილდღეობის შეტანის სულისკვეთებით

**„პარლამენტის ახალი რეგლამენტის თანახმად, დღეს საქართველოს მოსახლეობის წინაშე წარვდგები პარლამენტის 2018 წლის ანგარიშით და ვისაუბრებ 2019 წლის გეგმებზე. ამ ტრადიციით, რომელსაც ჩავუყარეთ საფუძველი, საზოგადოებას ექნება შესაძლებლობა, უკეთ გაეცნოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობას“,** — ამის შესახებ ირაკლი კობახიძემ საგაზაფხულო სესიაზე, პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშისა და სამომავლო გეგმების წარდგენისას განაცხადა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სიტყვით გამოსვლისას, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ განხორციელებული კანონშემოქმედებითი საქმიანობა შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მისი შეფასებით, ამ მიმართულებით, 2018 წელი ნაყოფიერი იყო.

**„ამ პერიოდში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 705 კანონი, მათ შორის, 294 ინიცირებული იყო პარლამენტის შესაბამისი სუბიექტების მიერ. თუმცა, დღეს ამ დარბაზში არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინ იყო ამა თუ იმ კანონპროექტის წარმდგენი, მთავარია, რომ თითოეული კანონი იქმნებოდა ქვეყანაზე, საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვის, თითოეულ ოჯახში კეთილდღეობის შეტანის სულისკვეთებით“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კობახიძემ ყურადღება გაამახვილა საკონსტიტუციო რეფორმაზე, რომელიც 2018 წლის მარტის თვეში დასრულდა და რომლის შედეგადაც, მისი თქმით, ეროვნულ სამართლებრივ რეალობაში ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი დოკუმენტი შეიქმნა.



**„კონსტიტუციის ახალი რედაქცია აყალიბებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაფუძნებულ დახვეწილ საპარლამენტო მმართველობის სისტემას, რომლის ძირითადი ელემენტებია ძლიერი პარლამენტი, ქმედითი მთავრობა, დამოუკიდებელი სასამართლო და ზეპარტიული პრეზიდენტი. საკონსტიტუციო რეფორმის წარმატებას ადასტურებს ვენეციის კომისიის შეფასებაც, რომლის თანახმად: „საკონსტიტუციო რეფორმამ საბოლოოდ დაასრულა საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო სისტემად გარდაქმნის პროცესი და ის წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციური წყობის კონსოლიდაციისა და გაუმჯობესებისაკენ გადადგმულ დადებით ნაბიჯს, ეფუძნება რა დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოს და ფუნდამენტური უფლებების დაცვის პრინციპებს“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, კონსტიტუციის ახალი რედაქციით დამკვიდრებული საპარლამენტო მმართველობის მოდელმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ახლებური გააზრება მოითხოვა, რაც, მისი შეფასებით, საკმაოდ შრომატევად საქმეს წარმოადგენდა. **„პარლამენტმა ამ რთულ ამოცანასაც ღირსეულად გაართვა თავი და შექმნა ევროპული სამართლებრივი კულტურის მაღალი სტანდარტების შესაბამისი ახალი რეგლამენტი. შედეგად, კიდევ უფრო გამოიკვეთა პარლამენტის საზედამხედველო როლი და გაჯანსაღდა პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობების სისტემა“,** — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

კობახიძის განცხადებით, 2018 წელს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კიდევ ერთი მასშტაბური ამოცანა იყო საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაცია, რაც პარლამენტმა წარმატებით განახორციელა.

**„ცვლილება იქნა შეტანილი 100-ზე მეტ კანონში, აგრეთვე, რიგ შემთხვევებში შეიქმნა სრულიად ახალი საკანონმდებლო აქტები. შესაბამისად, კომიტეტებმა შეასრულეს მნიშვნელოვანი სამუშაო, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ მათ. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი არ იყო მხოლოდ ტექნიკური დატვირთვის მატარებელი და იგი მიზნად არ ისახავდა კანონმდებლობის კონსტიტუციასთან მხოლოდ ფორმალური შესაბამისობის უზრუნველყოფას, არამედ ამ პროცესმა მოგვცა კიდევ ერთი შესაძლებლობა, გადაგვედგა ნაბიჯები ჩვენი ქვეყნისა და თანამოქალაქეების ინტერესების სასიკეთოდ“,** — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.



## ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ჩვენი პრობლემებით დაინტერესდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ტოივო კლაარს შეხვდა.**

შეხვედრაზე ისაუბრეს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის მნიშვნელობაზე, ასევე ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებისა და გაძლიერების აუცილებლობის შესახებ.

განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების, უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული ვითარება. ხაზი გაესვა კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობების აღდგენის მნიშვნელობას.

საუბარი შეეხო ასევე საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც საოკუპაციო ხაზით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებას ისახავს მიზნად. კერძოდ, განიხილეს სამი მიმართულება — განათლება, ჯანდაცვა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა. აღინიშნა, რომ ამ სფეროებში ცალკეული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს ხალხთა შორის ურთიერთობების აღდგენას.

## გიორგი გახარია ტოივო კლაარს შეხვდა

**საქართველოს ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს — ტოივო კლაარს შეხვდა.**

შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს და ამ მიმართულებით ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ.

გიორგი გახარიამ ტოივო კლაართან საუბრისას ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების მხრივ გამოკვეთილ გამოწვევებსა და ოკუპაციის ხაზზე არსებულ ვითარებაზე გაამახვილა ყურადღება.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე საოკუპაციო ძალების მიერ თავისუფალი გადაადგილების უკანონო შეზღუდვას, რაც საფრთხეს უქმნის ადგილზე უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.



## პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ავლაბრის რეზიდენციის მაღალი რანგის ვიზიტებისთვის გამოყენება ძალიან კარგი იქნება

საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ ძალიან კარგი იქნება ავლაბრის რეზიდენციის მაღალი რანგის ვიზიტებისთვის გამოყენება. ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა ხატია მოისწრაფიშვილმა გუშინდელ ბრიფინგზე ისაუბრა. პრეზიდენტი ასევე მიესალმება, ამ შენობაში ხელნაწერთა ინსტიტუტის ან კულტურის ცენტრის განთავსებას.



**„კონსულტაციებში ჩართული არ ვართ, თუმცა საქართველოს პრეზიდენტი მიესალმება და მიაჩნია, რომ კარგი იქნება ამ შენობის მაღალი რანგის ვიზიტებისთვის გამოყენება. ასევე, მას მოსწონს იდეა იქ საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის განთავსების, თუმცა ამისთვის იქ უნდა იყოს შესაბამისი სტანდარტები. საქართველოს პრეზიდენტი მიესალმება ავლაბრის სასახლეში საქართველოს კულტურის ცენტრის არსებობას. რა ფორმით იქნება ეს, იქნება ხელნაწერთა ინსტიტუტი თუ სხვა ტიპის მუზეუმი, აქ შენობაც უნდა პასუხობდეს მოთხოვნებს“,** — თქვა მოისწრაფიშვილმა.

„ქართულ ოცნებაში“ სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც უნდა იმუშაოს და გადაწყვიტოს, თუ რა ფუნქცია ექნება პრეზიდენტის უკვე ყოფილ ადმინისტრაციას ავლაბარში. სალომე ზურაბიშვილმა ავლაბრის რეზიდენციაში შესვლაზე უარი თქვა და სამუშაოდ ათონელზე მდებარე ორბელიანების სასახლე აირჩია.

## სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთსა და გერმანიაში მიდის

**მომავალ კვირას საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთს და გერმანიას ეწვევა,** — ამის შესახებ გუშინ პრეზიდენტის პრესსპიკერმა განაცხადა.

**„მომავალ კვირაში დაგეგმილია ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტები საზღვარგარეთ — ერთი საფრანგეთში და მეორე გერმანიაში. ვიზიტის დღის წესრიგი, შეხვედრის განრიგები ახლა ზუსტდება და მათ შესახებ ინფორმაციას მოგვიანებით გავავრცელებთ“,** — განაცხადა ხატია მოისწრაფიშვილმა.

## საქართველოს პრეზიდენტის ფონდს ნათელა მაჭავარიანი უხელმძღვანელებს

**საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ფონდს ნათელა მაჭავარიანი უხელმძღვანელებს. ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა ხატია მოისწრაფიშვილმა განაცხადა.**

ფონდის საქმიანობა მიმართული იქნება საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციური პროექტების დასაფინანსებლად. ფონდში, რომელიც ასევე იმუშავებს ემიგრანტების საკითხზე, შესაძლებელი იქნება შემოწირულობების განხორციელება.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა დასძინა, რომ ფონდის საქმიანობას სამეთვალყურეო საბჭო გააკონტროლებს. როგორც ცნობილია, სალომე ზურაბიშვილის ფონდი პრეზიდენტის ხელფასით დაფინანსდება, რომელზედაც მან უარი განაცხადა.

## ირმა ინაშვილი: იმის იმედი მაქვს, ჩვენ რომ მოვალთ ხელისუფლებაში, ყველა დაისჯებით

**მე იმის იმედი მაქვს, ჩვენ რომ მოვალთ ხელისუფლებაში, ყველა დაისჯებით, წინა რეჟიმის წარმომადგენლებიც და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც, რომლებიც ხელს აფარებთ წინა დამნაშავეებს,** — განაცხადა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა, დეპუტატმა ირმა ინაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გავრცელებაზე.



**„არ ვიცით ჩვენ, ხვალ ვინ იქნება ამ ბოროტების მსხვერპლი კიდევ და ვინ დაიწყებს ისევ ირონიულ ღიმილს შიგადაშიგ ტელეეთერებში, რომ „ეს რა მოხდა და ეს რა ტრაგედიაა, რაც გავრცელდა“. ყველასთან დაიჩოქებს ეს აქლემი, ამიტომ მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო. ჩვენი მხრიდან, კანონის გამკაცრებაზე იქნება მაქსიმალური მოთხოვნა, და ვიმუშავებთ იმისთვის, რომ გამავრცელებელი, ეს ჯგუფი, მთელი ეს ინდუსტრია. წინა რეჟიმით დავიწყოთ, ამ ბოკერიებით, კახიძეებით და დანარჩენებით, რომლებიც ცინიკურად ამ დარბაზში კიდევ ერთხელ ცდილობენ, თვალი აუხვიონ საზოგადოებას და ილაპარაკონ იმაზე, რომ თურმე თეთრი ხელთათმანებით იღებდნენ იმ კადრებს“,** — განაცხადა ინაშვილმა.

## დავით თარხან-მოურავი მეუფე საბას პასუხობს



**„პატრიოტთა ალიანსი“ მეუფე საბას მიერ მათი მისამართით გაკეთებული მწვავე განცხადების შემდეგ, ამბობს, რომ „წერილები კიდევ იქნება“.**

დავით თარხან-მოურავის თქმით, უკრაინის ავტოკეფალიის აღიარების საკითხზე წერილებს პატრიარქს ისევ გადაუგზავნის და ამაში ხელს ვერავინ შეუშლის.

მან რამდენიმე მღვდელმთავარი, მათ შორის მეუფე საბაც პოლიტიკური განცხადებების გაკეთებაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა და თქვა, რომ ეს მიუღებელია.

**„არავის განკვეთა ჩვენ არ მოგვითხოვია. ჩვენ ვთქვით, რომ პეტრე ცაავა არ უნდა იყოს მმართველი მღვდელმთავარი. რაც შეეხება მეუფე საბას და მეუფე გრიგოლს, საუბარი იყო იმაზე, რომ ეკლესია არ არის NGO. ჩვენ კი არ გვგონია ეკლესია პოლიტიკური პარტია, ჩვენ გვაქვს განცდა, რომ მეუფე საბას არ ესმის, რომ მისი განცხადებები არ უნდა იყოს პოლიტიკურ ჭრილში. წერილები კიდევ იქნება, დაელოდეთ, წერილები, რომელიც ამ საკითხზე საზოგადოებას უფრო მეტ ინფორმაციას მიაწვდის,“** — განაცხადა დავით თარხან-მოურავმა.

მეუფე საბა „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებს საეკლესიო წესებისა და კანონების დარღვევაში ადანაშაულებს.

## კოლხური ტყეები ბუნებრივი მემკვიდრეობის ნომინაციაზეა წარდგენილი

**პირველად საქართველოში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელმძღვანელობით მოხდა კოლხური ტყეებისა და წყალჭარბი ტერიტორიების UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნომინაციაზე წარდგენა.**

დაცული ტერიტორიების მსოფლიო მემკვიდრეობის უბნად ნომინირება უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს ქვეყნისთვის. დოკუმენტაციის შესაბამისად, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის საიტად წარდგენილია მტირალას, კოლხეთის, კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, რომლებიც წარმოადგენს კავკასიის ეკო-რეგიონისა და შავი ზღვის აუზის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები გამოირჩევა მისი უნიკალური ეკოსისტემებითა და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით.

დაცული ტერიტორიებისთვის მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭება ხელს შეუწყობს დაცულ ტერიტორიების ცნობადობის გაზრდას, ეკოტურიზმის განვითარებას, საერთაშორისო მნიშვნელობის ბუნებრივი ობიექტების მართვის გამოცდილების გაზიარებას, ვიზიტორების დაინტერესებას და რაოდენობის ზრდას.

ინიციატივა 2017 წლიდან ხორციელდება გერმანიის მთავრობის, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდისა (WWF) და მიხეილ ზუკოვის ფონდის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა საველე სამუშაოები. ადგილზე შეისწავლა ტერიტორიების ბიომრავალფეროვნება, ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა ამ მიმართულებით არსებული პროგრესისა და სამომავლო გეგმების განხილვას. პროცესში ჩართული იყვნენ დაინტერესებული პირები, ადგილობრივი მოსახლეობა, ექსპერტები და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

# ორკესტრირებული პოლიტიკური შეტევა და მედიაშტურმი სასამართლო ხელისუფლებაზე



## „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს განცხადება

„გვსურს, გამოვეხმაუროთ ბოლო პერიოდში სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით წარმოებულ პოლიტიკურად მოტივირებულ კამპანიას და განვაცხადოთ შემდეგი:

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ საზოგადოებას შევახსენებთ, რომ სახელმწიფო, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ სამართავად ჩაიბარა, იყო სახელმწიფო, სადაც ადამიანი სამართალს ვერ იპოვიდა. ყველას გვახსოვს, რომ ტოტალიტარულმა სახელმწიფო მანქანამ სასამართლო ხელისუფლება, უკლებლივ ყველა სხვა სახელმწიფო ინსტიტუტის მსგავსად, საკუთარი რეპრესიული პოლიტიკის სამსახურში ჩააყენა და საზოგადოების დათრგუნვის ერთ-ერთ ინსტრუმენტად აქცია.

ამ ფონზე, ჩვენ, ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაციის განაცხადით ხელისუფლებაში მოსულმა პოლიტიკურმა ძალამ, ამომრჩეველთა განწყობების მიუხედავად და, გარკვეულწილად, ამ განწყობების საწინააღმდეგოდაც კი, უარი ვთქვით სასამართლო სისტემის გარდაქმნის არაკონსტიტუციურ მეთოდზე. ჩვენ უარი ვთქვით სისტემის რევოლუციური წმენდის მანკიერ პრაქტიკაზე და მისი გაჯანსაღების რთული, თუმცა, ერთადერთი კანონიერი გზა ავირჩიეთ – პოლიტიკური წნეხის მოხსნით, სასამართლო ხელისუფლებას მივეცით თვითგამორკვევის საშუალება, რათა პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი ინსტიტუტი კანონის სამსახურში ჩამდგარიყო და, იმავდროულად, მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფის გზით, სისტემის თვისებრივი გაუმჯობესებისათვის მიგვეღწია.

დეტალურად არ შევჩერდებით იმ კომპლექსური რეფორმების ჩამონათვალზე, რაც ამ წლების განმავლობაში სასამართლო სისტემაში განხორციელდა და იმ აზრისგანაც შორს ვართ, რომ ყველაფერი იდეალურად არის. თუმცა, იმის საილუსტრაციოდ, თუ რას მივაღწიეთ ამ რეფორმების შედეგად, რამდენიმე სტატისტიკურ მონაცემს წარმოგიდგენთ, რათა ობიექტური წარმოდგენა შეიქმნას, სად ვიყავით გზის დასაწყისში და სად ვართ ახლა:

**– ექვსჯერ გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა;**

**– სამჯერ შემცირდა წინასწარი პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი;**

**– განახევრდა საგამოძიებო მოქმედებებზე შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი;**

**– 18-ჯერ (91 მილიონიდან 5 მილიონ ლარამდე) შემცირდა გირაოს შეფარდების მაჩვენებელი;**

**– თითქმის 5-ჯერ (229 მილიონიდან 48 მილიონ ლარამდე) შემცირდა ჯარიმების შეფარდების მაჩვენებელი;**

**– სამჯერ შემცირდა ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი;**

**– 200-ჯერ გაიზარდა პოლიციისა და სითი-პარკის წინააღმდეგ საჩივრების დაკმაყოფილების მაჩვენებელი;**

**– 11-ჯერ (4453-დან 415-მდე) შემცირდა საქართველოდან სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი სარჩელების რაოდენობა.**

ქართული სასამართლო სისტემის ასეთი საგრძნობი ტრანსფორმაცია შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებს, კერძოდ:

**– ზედიზედ მეორე წელია, მსოფლიოს მოწინავე კვლევითი ორგანიზაციისა და ვაშინგტონის წამყვანი ანალიტიკური ცენტრის – „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის“ კვლევის თანახმად, საქართველოს სასამართლო სისტემა ეფექტიანობით ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-18 პოზიციაზეა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში პირველ ადგილს იკავებს.** ამ ორგანიზაციამ მსოფლიო ქვეყნების სასამართლო სისტემები შეაფასა ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა სასამართლოს დამოუკიდებლობა, სასამართლო პროცესების ხარისხი და კეთილსაიმედო სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების ალბათობა. შედეგად, ორგანიზაცია მივიდა დასკვნამდე, რომ ამ პარამეტრებით **საქართველოს სასამართლო სისტემა უსწრებს ევროკავშირის 14 სახელმწიფოს – ესპანეთს, იტალიას, პოლონეთს, ხორვატიას, ჩეხეთს, უნგრეთს, მალტას, ლატვიას, საბერძნეთს, კვიპროსს, რუმინეთს, ბულგარეთს, სლოვაკეთს და სლოვენიას.**

– იმავდროულად, „მსოფლიოს მართლმსაჯულების პროექტის“ მიერ წარმოებული კანონის უზენაესობის 2017-18 წლების ინდექსის მიხედვით, **საქართველო ევროპის საუკეთესო ოცეულში მოხვდა და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილზე გავიდა სასამართლოს ეფექტიანობის თვალსაზრისით. საქართველო პირველ ადგილზე გავიდა საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს შორისაც.**

– მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის“ მიხედვით, **საქართველო საზოგადოების დაცულობის მაჩვენებლით, ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-15 ადგილზე გავიდა, ხოლო ორგანიზებული დანაშაულისაგან თავისუფლების ინდექსის მიხედვით ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-13 პოზიცია დაიკავა,** როდესაც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, 2012 წელს, ამ პარამეტრში 75-ე ადგილით, ყველაზე მაფიოზური ქვეყნების ჯგუფს მივეკუთვნებოდით.

– მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების კვლევაში, **2017 წელს საქართველომ, სახელშეკრულებო დავების განხილვის ეფექტიანობის მაჩვენებლით, მსოფლიოში მე-16 პოზიცია დაიკავა.**

სასამართლოს სისტემური გაუმჯობესების გზაზე, უკიდურესად მნიშვნელოვან ეტაპად საკონსტიტუციო რეფორმა იქცა. სწორედ ახალი საკონსტიტუციო მოდელის ამოქმედებას დაემთხვა ის საზოგადოებრივი ვნებათაღელვა, მათ შორის მკვეთრად ნეგატიური პროცესები, რომლებიც სასამართლოსთან მიმართებაში განვითარდა, კერძოდ:

2018 წლის 16 დეკემბერს ახალი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე, ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოიყენა მისთვის მინიჭებული ახალი უფლებამოსილება და უზენაეს სასამართლოში შექმნილი მძიმე საკადრო კრიზისის დასაძლევად, პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინა 10 მოსამართლის კანდიდატურა. სწორედ ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ვნებათაღელვა სხვადასხვა პოლიტიკურ, სამოქალაქო და საზოგადოებრივ ჯგუფებში. მმართველ პარტიაშიც გაჩნდა მოსაზრება, რომ მიუხედავად იმისა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ფორმალურად კანონი არ დაურღვევია, ეს გადაწყვეტილება გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენდა. შედეგად, პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, საკითხის განხილვა საგაზაფხულო სესიისთვის გადაედო, რასაც, თავის მხრივ, მხარი დაუჭირა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ. ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარე გამოვიდა ინიციატივით, რომ პარლამენტი კანონით დაადგენდა მოსამართლეთა წარდგენისა და არჩევის ახალ პროცედურას და კრიტერიუმებს, რის შემდეგაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო მაქსიმალურად ღია და გამჭვირვალე პროცესის საფუძველზე წარადგენდა მოსამართლეთა განახლებულ სიას, ხოლო საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფდა უზენაესი სასამართლოს წევრობის თითოეული კანდიდატის განხილვისა და დამტკიცების სრულიად ღია, ამერიკული სტანდარტის შესატყვის პროცედურას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გასული წლის დეკემბერში წარდგენილმა ათივე მოსამართლეობის კანდიდატმა, სამართლებრივი პრობლემის დაძლევის მიზნით, თავად თქვა უარი საკუთარი კანდიდატურის განხილვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ პროცესმა აბსოლუტურად კონსტრუქციული სახე მიიღო და გაჩნდა შესაძლებლობა, პოლიტიკური, სამოქალაქო და საზოგადოებრივი ჯგუფების მაქსიმალური ჩართულობით შედეგზე ორიენტირებული სამართლებრივი დისკუსია მიგვეღო, სასამართლო ხელისუფლებაზე გაგრძელდა პოლიტიკური შეტევა და მედიაშტურმი, რომლის ავანგარდში ნაციონალური მოძრაობა, მისი სატელიტი პოლიტიკური პარტიები და მასთანვე წლების განმავლობაში შეზრდილი და აფილირებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფესიული გაერთიანებების მოქმედი თუ ყოფილი ლიდერები ჩადგნენ.

მათი შეურაცხმყოფელი და უკიდურესად დესტრუქციული რიტორიკა და დღის წესრიგი სასამართლოს რევოლუციური წმენდისა და სისტემიდან გარკვეულ მოსამართლეთა არაკანონიერი გზით განდევნისა და დასჯის თაობაზე, ცხადყოფს, რომ მიმდინარე პროცესს არაფერი აქვს საერთო სასამართლო სისტემის გაუმჯობესების კეთილშობილურ ამოცანასთან და იგი სრულად წარმოადგენს კონკრეტული ოპოზიციური პარტიის პოლიტიკურ დღის წესრიგზე მორგებულ და ამ პოლიტიკური ძალის მიერ ორკესტრირებულ შეტევას, რომლის მიზანია, დასაჯონ ყოფილი ხელისუფლების გავლენებიდან გასული „ურჩი“ სასამართლო კორპუსი.

ამ ფონზე, მმართველი პოლიტიკური ძალა ვერ დადგება პროცესებს მიღმა და არ დაუშვებს, ჩვენი – საზოგადოებისა და ხელისუფლების – ერთობლივი მონაპოვრის – თვისებრივად გაუმჯობესებული სასამართლო ხელისუფლების უსამართლო, უკანონო და აბსოლუტურად მიუღებელ დისკრედიტაციას.

მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ძალას და საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომლის მიზანია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, არ ჩაერთონ არაჯანსაღ პოლიტიკურ დაპირისპირებაში და ხელი შეუწყონ შედეგზე ორიენტირებული დისკუსიის წარმოებას სასამართლო სისტემის შემდგომი გაჯანსაღების თაობაზე.

ჩვენ გავაგრძელებთ რეფორმების განხორციელებას სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის განმტკიცებისა და შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად“...

# ნათია მეზვრიშვილი: მძიმე დანაშაულების მაჩვენებელი უცვლელია ან შემცირებული!

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა დანაშაულის დეტალური სტატისტიკა წარმოადგინა. მინისტრის მოადგილის თქმით, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით უცვლელია მკვლელობების (108, 109) მაჩვენებელი, 2,5 %-ით შემცირებულია ყაჩაღობა, ხოლო 17,4 %-ით შემცირებულია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

**„გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია 2018 წელს რეგისტრირებული დანაშაულის შესახებ, რომლის შეფასებისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ დანაშაულის მკვეთრად გაუმჯობესებული აღრიცხვიანობა.**

**გამოქვეყნებული სტატისტიკა დანაშაულის გაუმჯობესებულ აღრიცხვიანობას ეფუძნება, რომლის თანახმად, რეგისტრირდება ყველა ის შემთხვევა, სადაც დანაშაულის მცირედი ნიშანი მაინც იკვეთება ან პოლიციას გააჩნია დანაშაულის ჩადენის მცირედი ეჭვი მაინც.**

**ბუნებრივია, დანაშაულის რეგისტრაციის ამგვარი პრაქტიკა 2018 წელს ციფრებში გვაძლევს სხვაობას 2017 წელთან შედარებით.**

**თუმცა, მხოლოდ ციფრები ვერ გახდება ქვეყანაში რეალური კრიმინოგენური მდგომარეობის განმსაზღვრელი. მნიშვნელოვანია რეგისტრირებული დანაშაულის შინაარსის, დანაშაულის აღრიცხვის პრაქტიკის, პოლიციისადმი მომართვიანობის მაჩვენებლის და სხვა ფაქტორების გათვალისწინება.**

**მხოლოდ ციფრებზე დაკვირვებით, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით რეგისტრირებული დანაშაული გაზრდილია.**

**დანაშაულის შინაარსობრივი ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ მძიმე დანაშაულების მაჩვენებელი ან უცვლელია ან შემცირებულია, ხოლო მატება ძირითადად იმ დანაშაულებზე მოდის, რომელთა აღრიცხვიანობა მკვეთრად გაუმჯობესდა ან რომლებზეც მომართვიანობა გაიზარდა.**

**კერძოდ, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით უცვლელია მკვლელობების (108, 109) მაჩვენებელი, 2,5 %-ით შემცირებულია ყაჩაღობა, ხოლო 17,4 %-ით შემცირებულია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.**

**რაც შეეხება ზრდას, სტატისტიკური ზრდის 75% მოდის საკუთრების წინააღმდეგ და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (ძირითადად მსუბუქ დაზიანებებზე), აგრეთვე მუქარაზე, იძულებაზე და თაღლითობაზე, ანუ იმ დანაშაულებზე, რომელთა აღრიცხვიანობა 2018 წელს მკვეთრად გაუმჯობესდა.**



**დანაშაულის მთელ რიგ კატეგორიებში ზრდა გამოწვეულია ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით, პოლიციისადმი გაზრდილი ნდობით და შესაბამისად, გაზრდილი მომართვიანობით. მაგალითად, ოჯახში ძალადობა გაზრდილია 122%-ით, ხოლო ადევნება გაზრდილია 6-ჯერ. შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს დანაშაულის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას.**

# ლევიათანი და არსენა,

## ანუ სახელმწიფო, რომელიც მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს...







**სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტია. მისი არსი სამართლის დამკვიდრებაშია. ამ გაგებით, „სამართლებრივი სახელმწიფო" ტავტოლოგიური სიტყვათშეერთებაა. სამართალი თავისთავად უკვე სახელმწიფოს გულისხმობს, როგორც სახელმწიფო - სამართალს. უსამართალო სახელმწიფო კი სახელმწიფოც არ არის. ნეტარი ავგუსტინეს (354-430) მართებული თქმით, თუ სახელმწიფოში სამართალი არ არის, ის ყაჩაღთა ხროვაა და არა სახელმწიფო. რა შეიძლებოდა გვეწოდებინა, მაგალითად, სააკაშვილის ხროვისთვის, 2007 წლის 7 ნოემბერს, საპარლამენტო არჩევნების საკონსტიტუციო ვადაში ჩატარების მოთხოვნისთვის მხეცივით რომ არბევდა ხალხს, — თუ არა ყაჩაღთა ხროვა?! პარლამენტის თავმჯდომარე „რკინის ლედიმ" კი თავმომწონედ განაცხადა: „სახელმწიფო შედგა!" ამაზე შეახსენა მწერალმა და პუბლიცისტმა ბურამ გოგიაშვილმა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებიდან მას და მის „მაგარ" პრეზიდენტს ნეტარი ავგუსტინეს ზემოხსენებული სიტყვები და დასძინა: „სახელმწიფო კი არ შედგა, ჩვენ შეგვდგაო!".**

ხელისუფლება, დიახაც, მაგარი და რკინისა უნდა იყოს (ისე, რკინას ფოლადი სჯობია!), მაგრამ მაგარი და რკინისა უნდა იყოს არა ხალხის სარბევად და საყაჩაღოდ, არამედ სამართლიანობის აღსადგენად და დასამკვიდრებლად. ამას კი ძლიერი და მართლმოქმედი ხელისუფლება სჭირდება, რადგან „უნიათო" და „პლასტილინი" ხელისუფლება ვერც სამართლიანობას აღადგენს და ვერც სახელმწიფოს შეადგენს.

ძლიერი ხელისუფლებისა და სამართლიანი სახელმწიფოს იდეას გამოხატავს თომას ჰობსის (1588-1679) „ლევიათანი". ფილოსოფოსი სახელმწიფოს აუცილებლობას იმით ასაბუთებს, რომ „ადამიანი ადამიანისთვის მგელია" და ერთადერთი მექანიზმი, რაც მას თავის მსგავსებთან მშვიდობიან თანაცხოვრებას შეაძლებინებს, ეს სახელმწიფოა.

მარქსი და ენგელსი, პრობლემას კლასობრივ განსხვავებაში რომ ხედავდნენ, ვარაუდობდნენ, რომ კლასობრი განსხვავების მოსპობის შემდეგ სახელმწიფო ზედმეტი გახდებოდა და გაქრებოდა. მაგრამ ადამიანი ადამიანის მიმართ „მგლობას" არ იშლის და სახელმწიფოს ფაქტორი კვლავ აქტუალური რჩება. მგელს ვამბობთ, თორემ ადამიანი მგელზე უარესია: მგელი მგელს არ ერჩის, ადამიანი კი ადამიანს კლავს, და ვერავითარი ათი მცნება ვერ შველის. ის ფაქტი, რომ ჩვ. წ.ა.-მდე ნათქვამი ეს სიტყვები (იგულისხმება ხსენებული გამონათქვამის ავტორი ძველი რომაელი მწერალი პლაუტუსი, რომელიც დაახლ. 250-184 წლებს შორის ცხოვრობდა) თომას ჰობსის ეპოქაშიც აქტუალური იყო, აღარაფერს ვამბობთ ჩვენს ეპოქაზე, იმაზე მეტყველებს, რომ დრო და ცივილიზაცია ადამიანის ბუნებას ვერ ცვლის.

გავრცელებულია მცდარი აზრი, თითქოს ჰობსი სახელმწიფოს იდეალს აბსოლუტურ მონარქიაში ხედავდა. გერმანელი პაულ ნოაკი (Paul Noack), მაგალითად, „განათლებული აბსოლუტიზმის დამფუძნებელს" უწოდებს მას. ფრანგი მეცნიერი პიერ მანანი (Pierre Manent) კი ჰობსს, სავსებით სამართლიანად, ევროპული ლიბერალიზმის მესაძირკვლედ მიიჩნევს: ინდივიდის უფლება, ყოველი ადამიანის ბუნებრივი თანასწორობის იდეა, პოლიტიკური ძალის წარმომადგენლობითობა და კანონის ლიბერალური ინტერპრეტაცია, თავისთავად გამორიცხავს აბსოლუტური მონარქიისადმი სიმპათიას.

მაგრამ რა არის სამართლიანობა — თვითმიზანი თუ საშუალება სახელმწიფოსათვის? რა თქმა უნდა, საშუალება, რადგან მიზანი ხალხის კეთილდღეობაშია: Salus populi suprema lex (ხალხის კეთილდღეობა უმაღლესი კანონია — ციცერონი). და ხალხის კეთილდღეობას გულისხმობს ჰობსის Common-Wealth-იც. მაგრამ კონკრეტულად რაში გამოიხატება სახელმწიფოს მიერ სამართლიანობის ხალხის კეთილდღეობად მოქცევა? რაში და იმაში, რომ არსენასავით **მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს!**

ყველა უსამართლო „სახელმწიფოს" (მონარქია, ოლიგარქია) საერთო ნიშანი ის არის, რომ ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს; სამართლიანი სახელმწიფოს ნიშანი კი — ის, რომ მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს.

ოღონდ, არა ისე, როგორც ამას ბოლშევიკები აკეთებდნენ, სუმთლიანად რომ ართმევდნენ საკუთრებას მდიდრებს, ხოლო მათ, როგორც კლასს, სპობდნენ. არამედ მდიდრების კანონიერი დაბეგვრით და ხალხის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფით! ასეა დღეს ევროპაში. ევროპული სახელმწიფოები, მოსახლეობის უმწეო ფენას — ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს, შრომის უნარმოკლებულ და უმუშევარ ადამიანებს — საარსებო მინიმუმით რომ უზრუნველყოფს, ამას მდიდრების დაბეგვრის საშუალებით ახერხებენ. მდიდრები თუ აღარ იქნენ და აღარაფერი ექნათ, ხელისუფლება ვის „წაართმევს", რომ ღარიბს მისცეს?! ამდენად, მდიდრები ხალხისათვის სასარგებლონი არიან და ხალხის ინტერესებშია, რომ არსებობდნენ და ხელისუფლება ზედმეტად არ აწუხებდეს მათ.

ბოლშევიკები მდიდრებისაგან წართმეულ ქონებას, სულ ხალხს აძლევდნენ „სახელმწიფო ქონების" სახით, მაგრამ ეს ერთჯერადი დახმარებასავით გამოვიდა და, მდიდრების მოსპობასთან ერთად, დახმარების მიცემაც მოისპო. იგივე ითქმის სააკაშვილისა და მისი „ხროვის" ქმედებაზე, მთელ ქონებას ღამის 4 საათზე ნოტარიუსის კანტორაში „ნებაყოფლობით" რომ აბარებინებდნენ ადამიანებს, იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელნი წართმეულ ქონებას, ბოლშევიკებივით, სულ ხალხს არ აძლევდნენ და დიდ ნაწილს „ელიტარულ კორუფციაში" და ოფშორებში აგზავნიდნენ.

თუმცა ბურჟუაზიისაგან წართმეული ქონებით ერთი ხანობა კარგად იბაირამა პროლეტარიატმა: უფასო განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასო სასამართლო, უფასო ბინა, მინიმალური და სტაბილური ფასები პურსა და პირველი მოთხოვნილების საგნებზე, წამლებზე, საყოფაცხოვრებო გადასახადებზე, ტრანსპორტზე და ა.შ. „მისი ამბავი, ახლა მართალი, ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს".

სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ნაწილობრივ სააკაშვილმა და მისმა ხროვამაც ერთხანს გამოიღეს ხელი ხალხის სასიკეთოდ, განსაკუთრებით პირველ ვადაში: შევარდნაძის დროს გამდიდრებულებისგან წართმეული ქონების ნაწილით, 8 თუ 14-ლარიანი „პენისია"მიშამ ერთბაშად 80ლარამდე, მერე 100-მდე გაზარდა! მაშინდელი ლარი დოლარზე ცოტათი ნაკლები იყო. აღარაფერს ვამბობ გაადამიანურებულ რეესტრის სამსახურზე! გაიხსენეთ, რა ზედახორები ხდებოდა მარჯანიშვილზე მდებარე შენობის მე-4 სართულზე, ყველა რაიონისთვის არსებულ საერთო „ფორტოჩკასთან", მოხუცი ქალები საბუთებით ხელში მოშორებით რომ იდგნენ და ახლოს ვერ ეკარებოდნენ! უმადურობა იმით არის ცუდი, რომ კარგის გაკეთების სურვილს უკარგავს ადამიანს. მიშა ალბათ შეასრულებდა დაპირებას (რასაკვირველია, ძველი საშინელი ცოდვების გამოსასყიდად!), მართალია გაზრდიდა პენსიას თუნდაც 250-300 ლარამდე! გაქსუებულ ოლიგარქებს წაართმევდა და გაზრდიდა! რამდენი გაქსუებული ოლიგარქი თვლემს პარლამენტში, რომლებმაც არ იციან, სად წაიღონ, ეშმაკმა იცის, რა გზით ნაშოვნი, მილიონები?! აი, რატომ მისცა ხმა 800 ათასმა ამომრჩეველმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გრიგოლ ვაშაძეს!

უკუღმართობაა ოლიგარქია ხელისუფლებაში! ოლიგარქი თავის თავს ხომ არ წაართმევს, რომ ხალხს მისცეს?! ამიტომ არის, რომ საქართველოში მდიდართა შემოსავალი 17-ჯერ აღემატება ღარიბთა შემოსავლებს, რეგისტრირებული კრიმინალის რაოდენობა კი, შსს-ს ინფორმაციით, 2018 წლის 11 თვის განმავლობაში რეკორდული ტემპით 58 %-ით გაიზარდა!

ოლიგარქიაც მონარქიასავით უკუღმართი ფორმაა: ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს. ჰომეროსმა მეფეს „დემობოროსი" უწოდა, რაც ხალხისთქვლეფიას ნიშნავს. და ხალხისთქვლეფიები არიან ოლიგარქებიც!

მდიდრები ევროპაშიც ახდენენ გავლენას ხელისუფლებაზე, მაგრამ ხელისუფლებაში არ არიან. და ხელისუფლებაც სათანადოდ ბეგრავს მათ და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფს ხალხს. ეს იმის წყალობით არის, რომ ევროპაში ყოველთვის არსებობდა სამართლის პრიმატი: Fiat justitia, et pereat mundus („აღსრულდეს სამართალი, თუნდ დაიქცეს ქვეყანა"). ევროპა რომის სამართლის მემკვიდრეა. თუმცა ოლიგარქების გავლენის გაზრდა იქაც აფუჭებს საქმეს.

Oxfam-ის (საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ებრძვის შიმშილს მსოფლიოში და ხელს უწყობს განვითარებას) გამოკვლევით, ფინანსური კრიზისის შემდეგ მილიარდერთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა, ყოველ ორ დღეში ახალი მილიარდერი ჩნდება: „დღეისათვის, სუპერმდიდრები და მრავალეროვნულები უფრო დაბალი გადასახადებით იბეგრებიან, ვიდრე წინა ათწლეულებში. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადის ყველაზე მაღალი ტარიფი მდიდარ ქვეყნებში 1970 წელს 62% რომ იყო, 2013 წელს 38%-მდე შემცირდა. საშუალო ტარიფი კორპორაციებისთვის მდიდარ ქვეყნებში 1981 წელს 49%-დან 2015 წელს 26%-მდე შემცირდა".

საინტერესოა, რამდენით იბეგრებიან, და საერთოდ, იბეგრებიან თუ არა, ხელისუფლებაში მოკალათებული ჩვენი მილიონერები და მილიარდერები?

ოლიგარქია მართული ანარქიაა, მმართველობის უკუღმართი ფორმა, როდესაც ხელისუფლება არის, მაგრამ სამართალი არ არის. უფრო სწორად, სამართლის ორმაგი სტანდარტია: ხელისუფალთათვის ერთი სამართალია, ხალხისათვის — სხვა სამართალი.

ლევიათანი, ზღვის ურჩხული, სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლოა. არსენა, ყაჩაღი — კეთილი ძალის სიმბოლო. უკეთური ძალა ბოროტებაა: „ძალა მოვიდა, სამართალი ბანში ავიდაო; უძლური სიკეთე — უმადლობა: „ვაი — სიკეთის მქნელსაო". სახელმწიფოს იდეალი ძლიერებისა და სიკეთის სინთეზია.

არსენა ყაჩაღია, მაგრამ კაცი არ მოუკლავს: „თხუთმეტ წელს ყაჩაღადა ვარ, კაცის ცოდვა არ მაძევსა!" ხედავს, ებრაელი ვაჭრები ზომაში ატყუებენ პატარძლებს, მაგრამ არც საქონელს ართმევს, არც ვაჭრობას უშლის! მხოლოდ იმას ეუბნება, რომ პატიოსნად გაყიდონ: „ქვრივსა და საწყალს გვიტყუებთ, ნამეტნავად პატარძლებსა!" მათი ადლი რომა ნახა, არსენას არ დაუჯდესა, გატეხა და გადააგდო, „ფუ, გამჭედი გაუწყრესა!" შინდის ჯოხი გამოუჭრა, რომელიც რომ გრძელი თქვესა. შვიდი მტკავლით გაუზომა: „მისხალი არ დააკლდესა! თუ ამითი არ გაჰყიდით, ვაი, დედითქვენის ღმერთსა!"

საახალუხე მოეწონება და უნდა იყიდოს, მაგრამ ვაჭრები ორ მანეთად ღირებულს ერთ თუმნად უფასებენ. არსენა გაწყრება და, საახალუხესთან ერთად, ფულის წართმევასაც დაუპირებს. შეშინებულმა ვაჭრებმა თხუთმეტი თუმანი მისცეს. არსენამ კი „ხუთი თუმანი აიღო, ათი უკან გაადევნა".

აბანოდან სალდათებს გამოეპარა და ფეხით გამოქცეული კუკიის გზაზე დაინახავს, სიძე მოუძლვის სიდედრსა. არსენას მეტი გზა არა აქვს, სალდათები არ წამოეწიონ, იძულებულია, ცხენი სთხოვოს. სიძე უარზეა, კეთილი სიდედრი კი, ცხენთან ერთად, ნაზუქებით სავსე ხურჯინსაც აძლევს და გზას ულოცავს: „ღმერთმა მშვიდობა მოგცესა, სადაც წაბრძანდეწამობრძანდე, არსენავ, გაგიმარჯვდესა! მაძღარს ართმევ, მშიერს აძლევ, ღმერთი როგორ წაგახდენსა!" ორი კვირის შემდეგ, არსენა მოხუც ქალბატონს ცხენსაც უბრუნებს და ერთ თუმანსაც ჩუქნის, „რაც რომ ნალი გაუცვდესა"...

**„არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,**
**ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული,**
**ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,**
**ის იყო ჩემი გული და სული.**
**ეგრეთ გონება ხალისიანი**
**არსენას ამბით მე მეზრდებოდა:**
**მიყვარდა მე ის კეთილდღიანი**
**და არსენობა მენატრებოდა".**
**(ილია ჭავჭავაძე, „კაკო ყაჩაღი")**



**ომარ ხახაშვილი.**

**ბელგიიდან სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისათვის"**

01.02. 2019

# საქართველო-ჩინეთის სამეცნიერო თანამშრომლობის ახალი ეტაპი

გასული წლის 11 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ეწვია ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია პრეზიდენტ **ჩუნლი ბაის** მეთაურობით. შეხვედრაში საქართველოს მხრიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტთან ერთად მონაწილეობდა თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი თამაზ დარჩიძე. პრეზიდენტმა ჩუნლი ბაიმ ხაზი გაუსვა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, ერთი მხრივ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და, მეორე მხრივ, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიასა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას, მან დადებითად შეაფასა ქ. იანტაიში არსებული საქართველო-ჩინეთის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მოღვაწეობა. ამ ფონზე გაიმართა აკადემიების ხელმძღვანელების საქმიანი მოლაპარაკება თანამშრომლობის არსებული ფორმატის შემდგომი გაფართოების შესახებ. მიღწეულ იქნა ორმხრივი შეთანხმება თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე ეკოლოგიის, მანქანათმშენებლობის, ბიოტექნოლოგიის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის და სხვ. დარგებში.

ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, რომელიც არის მეცნიერებათა მსოფლიო აკადემიის (TWAS) პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შესთავაზა, წარადგინოს კანდიდატურა აღნიშნული ორგანიზაციის წევრობისთვის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ერთხმად აირჩია თავის უცხოელ წევრად.

ამასთან დაკავშირებით ჩუნლი ბაი ჩვენი აკადემიის პრეზიდენტის აკად. გ. კვესიტაძის სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს:

**„პატივცემულო პრეზიდენტო,**

**დიდ მადლობას მოგახსენებთ კარგი ამბის მაუწყებელი წერილისთვის. ჩემთვის დიდი პატივია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად არჩევა.**

**სულ მახსოვს დეკემბრის თვეში ჩემი ვიზიტი საქართველოში. ამ ვიზიტმა კიდევ უფრო მეტად გააღრმავა ჩემი ცოდნა თქვენი ქვეყნის მეცნიერულ განვითარებაზე. თქვენმა სტუმართმოყვარეობამ ჩვენს მიმართ, ისევე როგორც თქვენმა ერთგულებამ მეცნიერებისადმი, წარუშლელი შთაბეჭდილება დაგვიტოვა საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებაზე. ეს ვიზიტი განსაკუთრებით მეამაყება, რადგან თქვენი აკადემიის უცხოელ წევრად ამირჩიეს.**

**ჩვენი შეხვედრის დროს მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, მოუთმენლად ველი ჩვენი თანამშრომლობის გაფართოებას ორივე მხარისათვის სასარგებლო სფეროებში, შესაძლებლობების და საჭიროების გათვალისწინებით. როგორც უცხოელი წევრი, თავს ვალდებულად ვთვლი, გავაკეთო უფრო მეტი ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობის გასაძლიერებლად.**

**მჯერა, რომ ჩვენს აკადემიებს შორის თანამშრომლობა და ურთიერთგაცვლა უფრო გაიზრდება და გაფართოვდება“.**

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არსებობს კარგი წინაპირობა იმისათვის, რომ წარმატებით წარიმართოს ორმხრივი თანამშრომლობის შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტები.

**რამაზ ხუროძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი**


中國科學院
CHINESE ACADEMY OF SCIENCES

地址：中国·北京三里河路 52 号
邮编：100864
Add：52 Sanlihe Rd., Beijing, China
Postcode: 100864

Academician G. Kvesitadze
President
Georgian National Academy of Sciences
0108 Tbilisi, Georgia
52 Rustaveli ave.
Tel/Fax: +995 32 299 8891

January 24, 2019

Dear President G. Kvesitadze,

Thank you very much for your letter informing me of the good news. It is my great honor and privilege to be elected as a foreign member of the Georgian National Academy of Sciences.

I can still recall my visit to Georgia last December. This trip has advanced my understanding of the scientific development in your country. Both your hospitality in receiving us, and your devotion to science, left us a deep good impression of the scientific community of Georgia. The trip made me feel particularly proud of being elected as a foreign member of your academy.

Referring to what we agreed during our meeting, I look forward to expanding our cooperation in areas of mutual benefits, taking consideration of the strengths and needs of both sides. As a foreign member, I feel committed to do more to help to strengthen our bilateral cooperation.

I trust the cooperation and exchanges between our two academies will continue to grow and flourish.

With my kindest regards,

C. Bai

Chunli Bai
President
Chinese Academy of Sciences

# თბილისქალაქში მისამართის პოვნა ერთობ გაძნელდა?

**თბილისში ქუჩების ნაწილი წელს ხელახლა გადაინომრება. ეს მასშტაბური გადაწყვეტილების ერთ-ერთი კომპონენტია. 2019 წელს ქალაქში 13 ათას ახალ სამისამართე აბრას დაამაგრებენ.**

საჭიროების შემთხვევაში სახელები დაერქმევა უსახელო ქუჩებსაც. ქალაქის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ ეს გადაწყვეტილება მას მერე მიიღო, რაც ქალაქში ახალმა საკადასტრო კოდებმა ქუჩებზე მისამართები არია, ამან კი მუშაობა გაურთულა სასწრაფოს, სამაშველო ბრიგადებსა და პატრულს. ქალაქში აბრებთან ერთად 80-ზე მეტი დგარიანი ბოძი დამონტაჟდება. წელს ამ ყველაფერზე 450 ათასი ლარი დაიხარჯება.




## როგორ ინომრება ქუჩები?

**ქუჩებს ნომრებს საჯარო რეესტრის დამისამართების სამსახური ანიჭებს. საქართველოს ყველა ქალაქში დანომვრა დასახლების ცენტრიდან იწყება. თბილისში ათვლის წერტილი თავისუფლების მოედანია. ამიტომ ყველა ქუჩის პირველი ნომერი იმ მხარესაა, რომელიც თავისუფლების მოედნისკენ იყურება. მარჯვენა მხარეს ლაგდება კენტი რიცხვები, მარცხენა მხარეს კი — ლუწი. შესაძლოა რიცხვებს თან ახლდეს ანბანის ასოებიც.**

მაშინ, როცა მშენებელი კომპანია ასრულებს ბინას და დროა, მას მიენიჭოს ნომერი, ნუმერაციის მთავარი განმსაზღვრელი ხდება გვერდით მდებარე შენობების მისამართები. ხშირად ქუჩის სრულად გადანომვრის თავიდან ასარიდებლად ე.წ. ინდექსაციას იყენებენ.

**მაგალითად, თუ მიწის ნაკვეთი, რომლის მისამართია შოთა რუსთაველის ქუჩა №2, გაიმიჯნება 2 ნაკვეთად, ქუჩაზე გაჩნდება 2 ა და 2 ბ. თუმცა თბილისში არის ისეთი ქუჩები, სადაც ერთი და იგივე ნომერი ათამდე შენობას აქვს, მაგალითად, მერაბ ალექსიძის ქუჩაზე 8 შენობა ითვლება პირველ ნომრად.**

ინდექსიანი ნომრები გადანომვრის თავიდან აცილების საშუალებაა, რადგან ასეთ დროს იმ ქუჩაზე მდებარე ყველა ობიექტის მისამართი იცვლება.

დუბლირებული ნუმერაცია უნდა შესწორდეს, რაც კომპლექსური პროცესია. ბიუროკრატიის ენაზე ეს ასე ჟღერს: **„ნუმერაციის შესწორებისას სააგენტო კომპლექსურად იკვლევს შესაბამისი ტერიტორიისთვის არსებულ სიტუაციას და გადაწყვეტილებებს იღებს მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა და არსებული ფაქტობრივი მდგომარეობების ურთიერთშეჯერებით“.**

სისტემური გადანომვრის ნაცვლად კი ხშირად ნომრების თანმიმდევრობა ირევა. ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა ერთ-ერთია, სადაც ახალმა მშენებლობებმა ნუმერაცია არია. ქუჩაზე რამდენიმე ნომერი გამოტოვებულია. მაგალითად, ვერ იპოვით ნომერ 18-ს, რომლის ადგილას შენობის მაგივრად სტადიონია. ხშირად გზის გაკვლევა რუკის საშუალებითაც ძნელია.

ჯერ არ არის დაზუსტებული, კონკრეტულად თბილისის რომელი ქუჩები გადაინომრება.

**სოფო დათიშვილი**




# ავტომფლობელებისთვის მესამე პირის დაზღვევა სავალდებულოა!

**საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელებისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა შემოდის.**

საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მთავრობამ მოამზადა, პარლამენტში ინიცირებისთვის მზად არის.

**„სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა ერთ-ერთი წამყვანი სავალდებულო დაზღვევის სახეობაა საერთაშორისო პრაქტიკაში. მძღოლის დაუდევრობის, უყურადღებობის, არასაკმარისი ცოდნის, სატრანსპორტო საშუალების არასათანადო მოვლა-პატრონობის და სხვადასხვა მიზეზების გამო იზრდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების და გაუთვალისწინებელი შედეგების დადგომის ალბათობა. სწორედ სავალდებულო დაზღვევა ქმნის მატერიალურ გარანტიას, ერთი მხრივ, მძღოლისთვის და მეორე მხრივ, დაზარალებულისთვის ამ უკანასკნელის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ქონებისთვის მიყენებული ზიანის დადგომის დროს“,** — ნათქვამია პროექტის განმარტებით ბარათში.

კანონპროექტი ადგენს წლიური სადაზღვევო პრემიის მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების კატეგორიების მიხედვით, რომელიც არის წლიური და განისაზღვრება ავტოსასატრანსპორტო საშუალების კატეგორიების მიხედვით.

**კერძოდ, მოტოციკლისათვის, რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია — 75-110 ლარი;**

**მსუბუქი ავტომობილისთვის, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 3 500 კგ-ს, ხოლო დასასხდომი ადგილების (გარდა მძღოლის ადგილისა) რაოდენობა 8-ს არ აღემატება — 100-150 ლარი;**

**ავტობუსისთვის, რომლის დასასხდომი ადგილების (გარდა მძღოლის ადგილისა) რაოდენობა 8-ს აღემატება — 160-240 ლარი;**

**სატვირთო ავტომობილისათვის, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 3 500 კგ-ს აღემატება — 210-310 ლარი;**

**მისაბმელისათვის — 50-75 ლარი;**

**სასოფლო-სამეურნეო მანქანისათვის, სპეციალიზებული თვითმავალი მანქანისათვის — 60-90 ლარი.**

საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტის ბიუროს გუშინ წარედგინა.

# „განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“

დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც შეიძლებოდა ზუსტად აღდგენა, თუ როგორ წარიმართა პრეზიდიუმის სხდომა და ბერიას დაპატიმრება, არ არსებობს. სხდომის სტენოგრამა და ოქმი არ უწარმოებიათ. არქივში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი დოკუმენტი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს 1953 წლის 26 ივნისის მოვლენების რეკონსტრუქციისთვის. ლაპარაკია სხდომაზე მალენკოვის გამოსვლის შავ ჩანაწერზე. ამ დოკუმენტის არშიებზე არის აღნიშვნები მალენკოვის ხელით, ოღონდ სხვა ფანქრით. შეიძლება, მან ამრიგად ჩაიწერა სხდომაზე პრეზიდიუმის სხვა წევრების მიერ გამოთქმული ზოგიერთი წინადადება?

საერთოდ ირკვევა, რომ შეთქმულებაში ყველაზე აქტიური პოზიცია ეკავათ მალენკოვს, ხრუშჩოვს და მოლოტოვს, რომლებსაც პარტიულ ხელმძღვანელობაში ლიდერობის პრეტენზია ჰქონდათ. სხვები სულაც არ მოითხოვდნენ ბერიას სიკვდილით დასჯას. მაგალითად, მიქოიანი წინადადებას აყენებდა, გამოეყენებინათ იგი სამეურნეო სამუშაოზე, ბუნებრივია, ცკ-ის შემადგენლობიდან გამოყვანით. თუმცა ბოლოს ისიც და ვოროშილოვიც დათანხმდნენ ბერიას დაპატიმრებას, რათა არ დაერღვიათ ერთსულოვნება ცკ-ის პრეზიდიუმში. მათ დამაჯერებლად არ ეჩვენებოდათ მალენკოვისა და ხრუშჩოვის არგუმენტები: ისინი ვერ ხედავდნენ ბერიას ორგანიზებულ ვერავითარ შეთქმულებას.

ოფიციალურად ბერიას დაპატიმრება მოახდინა სამხედროების სპეციალურად მომზადებულმა შეიარაღებულმა ჯგუფმა თავდაცვის მინისტრის მოადგილის, მარშალ გიორგი ჟუკოვის ხელმძღვანელობით და არმიის გენერალ (მომავალი სსრ კავშირის მარშალი) მოსკალენკოს მონაწილეობით. ეს სსრ კავშირის ისტორიაშიც კი უმაგალითო შემთხვევა იყო.

გვიან ღამით დაპატიმრებული ბერია კრემლიდან გადაიყვანეს მოსკოვის გარნიზონის ჰაუპტვახტში, მეორე დღეს კი — საჰაერო დაცვის შტაბის ბუნკერში, სადაც იმყოფებოდა გამოძიებისა და სასამართლოს დასასრულამდე და სადაც დახვრიტეს კიდეც.

**1953 წლის 29 ივნისს ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომაზე მიიღეს დადგენილება: „ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფო ქმედებათა საქმის გამოძიების შესახებ“. გამოძიების წარმოება დაევალა ხრუშჩოვის პროტეჟეს — თანამდებობაზე იმავე სხდომაზე დამტკიცებულ სსრ კავშირის ახალ პროკურორს რომან რუდენკოს.**



ნიკიტა ხრუშჩოვი, იოსებ სტალინი, გიორგი მალენკოვი, ლავრენტი ბერია, ვიაჩესლავ მოლოტოვი,

ბერიას დაპატიმრების უმალ დაიწყეს მის თანაგუნდელებად მოაზრებული, ანუ მისი ერთგული ადამიანების აყვანაც: მეორე დღესვე, 27 ივნისს დააპატიმრეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი **ბოგდან (ბაღჩო) ქობულოვი** (დაბ. 1904 წელს თბილისში), 30 ივნისს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ დეკანოზოვი** (დ. 1898 წ. ბაქოში), სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახკომის ყოფილი მოადგილე, იმავდროულად — 1940-1941 წ.წ. სსრ კავშირის ელჩი გერმანიაში — ეს მან გამოიყვანა მთელი საბჭოთა საელჩო უკლებლივ მტრად მოკიდებული გერმანიიდან); ასევე 30 ივნისს — უკრაინის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი **პავლე იაკობის ძე მეშიკი** (დ. 1910 წ. სუმის ოლქის ქ. კონოტოპში), 11 ივლისს — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მე-3 სამმართველოს უფროსი, საქართველოს ყოფილი სახელმწიფო პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი **სერგო არსენის ძე გოგლიძე** (დ. 1901 წ. ონში); სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსი **ლევ ემელიანის ძე ვლოძიმირსკი** (დ. 1903 წ. ბარნაულში); ყველაზე ბოლოს — 18 სექტემბერს — სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრი, ყოფილი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი **ვსევოლოდ ნიკოლოზის ძე მერკულოვი** (დ. 1898 წ. ზაქათალაში).

გამოძიების პირველი დღეებიდანვე ბერიას და სხვებს წაუყენეს ბრალი კონტრრევოლუციურ დანაშაულთა ჩადენაში, რასაც მაშინ ითვალისწინებდა სსრკ სისხლის სამართლის კოდექსის 1928 წლის რედაქციის 58-ე მუხლი.

სასამართლო გაიმართა 1953 წლის 18-23 დეკემბერს. ბრალდებულთა საქმეები განიხილებოდა დახურულ სასამართლო სხდომებზე, მხარეების — ბრალდებისა და დაცვის გარეშე, 1934 წლის 1 დეკემბრის კანონის შესაბამისად. სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალურ სასამართლო საკრებულოს თავმჯდომარეობდა საბჭოთა კავშირის მარშალი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი **ივან კონევი**. სპეციალური სასამართლოს წევრები იყვნენ: პროფკავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ნ.მ. შვერნიკი,** სსრკ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ე.ლ. ზეიდინი,** არმიის გენერალი **კ.ს. მოსკალენკო** (ოფიციალური ვერსიით **ლ.პ. ბერიას** კრემლში დაპატიმრების მონაწილე), სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი **ნ.ა. მიხაილოვი,** საქართველოს პროფკავშირების საბჭოს თავმჯდომარე **მ.ი. კუჭავა,** მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე **ლ.ა. გრომოვი,** სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **კ.ფ. ლუნევი;** მდივნები: იუსტიციის პოდპოლკოვნიკები: **ა.ს. მაზუერი, მ.ვ. აფანასიევი, ვ.მ. ნარტიკოვი, მ.ა. ნაშჩენკოვი, ვ.ი. ლაპუტინი.** ანუ სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლოს 8 წევრიდან მხოლოდ ორი იყო იურისტი.

მთავარ ბრალდებულს ბერიას 58-ე მუხლით გათვალისწინებული კონტრრევოლუციური დანაშაულების (1937-1938 წლების რეპრესიები) გარდა, ბრალდებოდა „საბჭოთა ხელისუფლებისგან მალულად“ ჰიტლერთან კავშირი 1941 წელს, საიდუმლო კავშირის დამყარება იუგოსლავიის ლიდერებთან ტიტო-რანკოვიჩთან 1953 წლის მაის-ივნისში, უცხო სახელმწიფოებისთვის სსრ კავშირის ტერიტორიის გადაცემისთვის მზადყოფნა, გამონათქვამები გერმანიის გაერთიანების საკითხზე და ა.შ.

ამ და შპიონაჟის ბრალდებათა დასაბუთებას მრავალი მკვლევარი, სრულიად სამართლიანად, დიდი ეჭვის ქვეშ აყენებს, მცდარად მიიჩნევს.

**ბერიას და მისი გუნდის მონაწილეობა 1930-იანი წლების მიწურულისა და 1940-იანი წლების რეპრესიებში დიდ მტკიცებულებას არ საჭიროებს, მაგრამ არც ბრალდებებში და არც განაჩენში სწორედ ამ საკითხს დიდი ადგილი არ დათმობია, ე.ი. ისინი გაასამართლეს არა იმის გამო, რისთვისაც გასამართლება ეკუთვნოდათ, არამედ „თითიდან გამოწოვილი“ ბრალდებებით.**

1953 წლის ივლისის პლენუმზე ვიაჩესლავ მოლოტოვმა ბერიას ორი უმძიმესი ბრალი დასდო: ორი გერმანიის გაერთიანებისა და იუგოსლავიის შემორიგების კრიმინალური აზრი.

ოღონდ, რასაც ბერიას უკიჟინებდნენ, დიდ დანაშაულად უთვლიდნენ, შემდგომში აღსრულდა და გამართლდა: გაერთიანდა ორი გერმანული სახელმწიფო: ლიბერალურ-დემოკრატიულმა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ შეიერთა ავტორიტარულ-დიქტატორული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

40-იანი წლების მეორე ნახევარში სსრ კავშირი და იუგოსლავია დაუძინებელი მტრები იყვნენ. ლ. ბერიას სტალინის სიკვდილის უმალ, ამ მდგომარეობის შეცვლა მოუნდომებია. 50-იან წლებში ეს ქვეყნები მართლაც შერიგდნენ.

**ნ. ხრუშჩოვმა პლენუმს აცნობა, ბერიას თურმე აზრად ჰქონდა, რომ ქვეყანაში ყველაფერი გადაეწყვიტა მინისტრთა საბჭოს, ხოლო კომპარტიის ცკ-ს მხოლოდ კადრებისა და პროპაგანდისთვის მიეხედა, ანუ ვარაუდობდა პარტიის ძალაუფლების შეზღუდვასო.**

ირკვევა ისიც, რომ **ბერია, რომლის სახელსაც უკავშირდება ურიცხვი რეპრესიული დანაშაული, აპირებდა სუკ-ის უფლებების შეზღუდვას, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებას, დაბოლოს, უშვებდა საბაზრო ეკონომიკის შემოღებას, რადგან საბჭოთა ხელისუფლება ჩიხში მოექცაო. და ეს ჩიხი მისმა თანამოსაგრეებმა იმით დაძლიეს, რომ ბერია გაანადგურეს.**

## საბრალდებო დასკვნა

საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ სასამართლო გამოძიებამ დაამტკიცა:

„უღალატა რა სამშობლოს და მოქმედებდა რა უცხოური კაპიტალის ინტერესების შესაბამისად, ბრალდებულმა ბერიამ შეაკოწიწა საბჭოთა ხელისუფლების მტერ-მოღალატე შეთქმულთა ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ მასთან წლების მანძილზე დანაშაულებრივი საქმიანობით დაკავშირებული მერკულოვი, დეკანოზოვი, ქობულოვი, გოგლიძე, მეშიკი და ვლოძიმირსკი. ისინი მიზნად ისახავდნენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების გამოყენებას პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, მის დაყენებას პარტიასა და მთავრობაზე მაღლა, ხელისუფლების ხელში ჩაგდებას, საბჭოთა მუშურ-გლეხური წყობის ლიკვიდაციას, კაპიტალიზმის რესტავრაციასა და ბურჟუაზიის ბატონობის აღდგენას.

ძიებამ დაადასტურა, რომ ბერიას დანაშაულებრივი, გამცემლური საქმიანობა დაიწყო ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროიდან. მრავალი წლის მანძილზე ბერია და მისი თანამგზავრები საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ და ნიღბავდნენ თავიანთ მტრულ მოღვაწეობას.

ი.ბ. სტალინის სიკვდილის შემდეგ ბერია ფსონს დებდა რეაქციული იმპერიალისტური ძალების აქტივიზაციაზე საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ და ფორსირებულად საქმიანობდა თავისი ანტისაბჭოთა, მოღალატური ჩანაფიქრების განსახორციელებლად.

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ბერიასა და მისი თანამზრახველების ბრალი შემდეგ დანაშაულებში:

1953 წლის მარტში, როცა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა და ემზადებოდა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და კონტრრევოლუციური დიქტატურის დასამყარებლად, დაიწყო შეთქმულთა ხელმძღვანელ თანამდებობებზე წამოწევა როგორც შს სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, ისე მის ადგილობრივ ორგანოებში. განსასჯელებმა ბერიამ, დეკანოზოვმა, ქობულოვმა, გოგლიძემ, მეშიკმა და ვლოძიმირსკიმ შინაგან საქმეთა სამინისტრო დაუპირისპირეს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას. დადგენილია, რომ შეთქმულები შსს ადგილობრივი ორგანოების მუშაკებს აიძულებდნენ საიდუმლოდ შეეკრიბათ ცილისმწამებლური, ფალსიფიცირებული მონაცემები პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობასა და შემადგენლობაზე და ამგვარი დანაშაულებრივი გზით სახელი გაეტეხათ მისთვის.

ბერია და მისი დამქაშები შსს პატიოსან მუშაკებს, რომლებიც უარს ამბობდნენ შეესრულებინათ ეს დანაშაულებრივი განკარგულებანი, სასტიკად უსწორდებოდნენ.

„ანტისაბჭოთა მოღალატური მიზნებისთვის ბერიამ და მისმა თანამზრახველებმა ყველაფერი იღონეს, რათა გაეაქტიურებინათ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები მოკავშირე რესპუბლიკებში, დაეთესათ მტრობა საბჭოთა ხალხებს შორის და, უპირველეს ყოვლისა, გაეწყვიტათ მათი მეგობრობა დიდ რუს ხალხთან.

ბერია მოქმედებდა როგორც საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტერი: იმ მიზნით, რომ ქვეყანაში სასურსათო სირთულეები შეექმნა, ხელს უშლიდა პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმადობისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შეუფერხებელი ზრდისთვის. **SIC — ლ. ბერიას თავისი პროფესიული, პრაქტიკული საქმიანობით არავითარი შეხება არ ჰქონდა სოფლის მეურნეობასთან!**

ემზადებოდა რა ძალაუფლების უზურპაციისთვის, განსასჯელი ბერია და მისი თანამზრახველნი ბოროტად იყენებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას, ეწეოდნენ შპიონაჟს და თვალთვალს.

1953 წლის მარტში ბერიამ და ქობულოვმა განკარგულება გასცეს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკზე იმ ცილისმწამებლური, ფალსიფიცირებული მასალების შეკრების შესახებ, რომლებიც შეთქმულებმა სხვადასხვა დროს მიიღეს პატიმართა წამების გზით, აგრეთვე სხვა პროვოკაციული მეთოდებით.

**ალეკო ასლანიშვილი.**

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №23-24

№ 25. ოთხშაბათი, 6 თებერვალი, 2019 წელი.

ჯუმბერ სარდლიშვილი ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ქართველი ადამიანია, მაგრამ თუ ახლოს გაიცნობ, ამ ჩვეულებრივობაში შენდა გასაკვირად, არაჩვეულებრივსაც აღმოაჩენ. ის მეწარმეა, თავისი ბიზნესი აქვს, ახალგაზრდა მშენებელი კაცია და ამავე დროს, მეორე „სატრფოც“ ჰყავს – კაზმული სიტყვა. ჩვენს მკითხველს უთუოდ ახსოვს ჯუმბერის ცხოვრების ცოდნით აღბეჭდილი პუბლიცისტური წერილები, რომლებიც სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. არ შეიძლება, არ ახსოვდეს აგრეთვე ეზოპეს ენით გადმოცემული დღევანდელობის „დიაგნოზდასმული“ იგავ-არაკები...

ამჯერად ჯუმბერ სარდლიშვილს მკითხველი გაიცნობს როგორც პოეტს, რომელსაც აქაც ცხოვრების მაჯაზე უდევს ხელი. მართალია, უსაგნო ვერლიბრმა, თეთრმა ლექსმა, ერთგვარად „წალეკა“ ბოლოდროინდელი ქართული პოეზია, მაგრამ ჯუმბერ სარდლიშვილის „თეთრი ლექსი“ იმით განსხვავდება სხვათაგან, რომ, როგორც იტყვიან, კარგი გული მაშინვე ცნობს, თუ „ამ სითეთრეში რაოდენი ცხოვრებისეული სიშავეა“, რასაც თვალს კი არ უნდა ვარიდებდეთ, არამედ ჩვენი ერთობლივი ძალით ვისპეტაკებდეთ.

თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ჯუმბერ სარდლიშვილი არა მარტო ქურაში გამომწვარი აგურით აშენებს თავის ახალ სამშობლოს, არამედ გულში გამომწვარი სიტყვითაც ჩაბმულია ქვეყნის მშენებლობაში.

გურამ წიკლაური



# ჯუმბერ სარდლიშვილი

# ისე იცხოვრე, შვილიშვილის ალერსს ეღირსო...

## მამის მონოლოგი

მიდიხარ, შვილო?..
რატომ მეგონა, შემიბრალებდი...
შინაგანი ხმა ჩამოგზანდა სულიერ წყლულსა,
მამის მხარდამხარ მძიმე უღელს შეებმებოდი.
მიდიხარ! ვხედავ, სამშობლოზე გული აგყრია
და სხვაგან, სადღაც გადახვეწილს, მყუდროებაში
გსურს გაატარო ბედნიერად წუთისოფელი.
რა გითხრა, შვილო? დალოცვილო,
აბა, რა გითხრა?
რით მოგიქონო გული, როცა გული არა გაქვს?
გამომიგზავნი ფულს,
ვიყიდი პურს,
ვიცხოვრებ როგორც მსურს,
მაგრამ ეს არის ყველაფერი, განა ეს არის?
კარგი, ჩემს ცრემლებს ნუ მიაქცევ
დიდ ყურადღებას,
ერთი უჭკუო მოხუცი ვარ, ჩემთვის ვრატრატებ.
ამ სანთელმა გაგინათოს, შვილო, გზა ყველგან,
დალოცვილ იყავ მამისაგან, ბედკურთხეულო,
გეშოვებოდეს პური, ფული, სახლი და კარი
სავსე ქონებითა, ავეჯითა, რბილ-ტახტრევნითა,
ორთვალათი,
ოთხთვალათი,
ცადსაფრენითა,
ძილსარწევითა, თავაწევითა, მსახურებითა!
სხვა არა გინდა, ვხედავ, სხვა არა გინდა.
შვილის ხმის სიტკბოს, შვილიშვილის
გულზე ჯდომასა,
რწევასა, იმის აკვნის რწევასა,
გავლა-გამოვლას ქალ-ვაჟის,
დაღლილზე სიოს ქროლვასა,
აბღავლებულსა მეწველსა,
ნაშიერს მომლოდინესა,
ჟრუანტელს ჰგვრიდეს ჩხავილი
დედასა, მელოგინესა.
მოვკვდე და ცრემლი მაქციონ,
შევნანდე სისხლსა ჩემსასა.
კუბო მიჰქონდეს ნაშიერს,
ცრემლს მომაქცევდნენ ზღვისასა;
გულზედაც მიწას მაყრიდნენ
ზარ-ნიჩბით, შემოსწორებით,
ზედ იავარდებს მაწყობდნენ
ათრთოლებული ხელებით!
ნატვრაა, შვილო, ველოდო
შენგან საკლავის დაკვლასა.
ვინ მოვა, სანთელს დამინთებს,
ვინ დამინამავს საფლავსა,
ღვინოს მიწაზე დააქცევს,
ჭიქას შეართყამს ჭიქასა?
არ მოხვალ, მიწად ვიქცევი,
ვინ შეედავოს მიწასა?

ღმერთო, რას ვამბობ!.. წადი, წადი,
გზა მშვიდობისა!
შენი ცხოვრება შენი არის, მხოლოდ შენია.
გამოზრდილი ხარ, ძუძუს მეტად არ საჭიროებ.
წადი, იცხოვრე, ასე ცხოვრობს უცხო სამყარო
და იმ სამყაროს მონაბერი სიო გიტაცებს.
ისე იცხოვრე, შვილთან ყოფნა ნატვრად არ გექცეს!
ისე იცხოვრე, შვილიშვილის ალერსს ეღირსო!
და ისე მოკვდი, სახელმწიფომ სადმე არ წაგფლას,
რომ შენს საფლავზე ერთხელ მაინც დაჭკნეს
ყვავილი!

## ბურუსიან მთებს

ბურუსიან მთებს შეჰპარვიათ ნაღველი გულში,
პირქუშ სხეულებს არტახები ურჩევენ დუმილს.

კავკასიონი თვალებს ითხრის მგლების ყმუილში
და ჯოჯოხეთის კარიბჭესთან განაჩენს უცდის.

ო, რა ნაცვეთი, ნათითური, რა მედიდური
მზერაა, თითქოს განიბანა მირონში ღმერთი.
იმპერატორის ძველი სული ქანაობს თოკზე
და მთელ სამყაროს მიჯნურივით შორიდან ეტრფის.

ო.... რა ფარული, დაფარული მზერაა, თითქოს
უმწიკვლო გულში ბოროტება იწვოდეს ცეცხლზე,
თითქოს გვირგვინი, ნეტარების, აფრქვევს მზის სხივებს
და სულიწმინდის მხედრიონი ქრისტეს დაეძებს.

შავოსანთა მოთქმა-გოდება მიარღვევს დუმილს.
ახალ მსოფლიოს დასავლეთში უცვლიან სახეს
როცა ეშმაკი სათავეში დამარხულია,
ძაღლი ძაღლის ტყავს, აუცილებლად დრო მოვა,
დახევს.

ბურუსიან მთებს შეჰპარვიათ ნაღველი გულში.
მიშვებულია საძოვარზე ფარა უმწყემსოდ.
მგლების ყმუილში დამფრთხალ თვალებს ჩინი აჰყარეს
და აღარ ვიცი, ჩემს სამშობლოს როგორ ვუშველო.

## სულების სიკვდილს

დღეს სული ისე გაიაფდა, ვიღაც დაგვცინის
და ფეხაშვერილ დიაცივით ინაყრებს სურვილს.
თოთო ბავშვივით შემკრთალია თვალებში სხივი,
რომელსაც სულის მესაფლავე სამარეს უთხრის.

სადღაც ელმავლის საყვირია.... ვაგონი მიქრის.
სადღაც ჭიხვინი ჯოჯოხეთის, ანგრევს კალაპოტს.
ამბოხებული სამყაროა უფალი თავის
და უსასრულო ტრამალებში ჯირითს განაგრძობს.

ღმერთი აქ ისე ზედმეტია, როგორც – სინდისი.
მიზიდულობა, მატერიის, გვიმზადებს გვირგვინს.
და მათრობელა იდეებით მოკირწყლულ გზაზე
ზარ-ზეიმებით ვეგებებით სულების სიკვდილს.

ღვარცოფის შიშით მოდრეკილან სალი კლდეები.
სატანა ბნელში მრისხანების იმკის მოსავალს,
ხელში უჭირავს ბედისწერა, სულამოცლილი
და ამქვეყნიურ სასუფეველს ცრემლში ინახავს.

დღეს მომავალზე ზრუნვა ჰქვია კუჭის სიმაძღრეს
და მატერიის სიამენი ხალისს გვმატებენ.
ფული შრიალებს გულისცემის ნაცვლად სხეულში
და ადამიანს ფოლადივით ცეცხლში აწრთობენ.

წყარო, ანკარა, მესიზმრება ხანდახან ძილში,
ბალახბულახში გალაღებულს შვენის სიცელქე.
ტყის მგალობელნი ნორჩ ყლორტებში კაზმავენ ბგერას,
ჟღურტულ-ჟღურტულში იბადება თითქოს სიცოცხლე.

გული ისეთი სუფთა არის, სულის ფრთებს იქნევს,
სიკეთენი უკან სურვილებად მისდევს ნაკადულს.
ხის კენწეროზე ფოთოლივით ჰკიდია გული
და მელოდიას, გულისცემის, ვუსმენ არნახულს.

დღეს სული ისე გაიაფდა, ვიღაც დაგვცინის
და ფეხაშვერილ დიაცივით ინაყრებს სურვილს...

## ბებრის მონოლოგი

სამოცდაათი... გაცვეთილი სამოცდაათი...
ყური დაუგდე, განა წლები ჩუმად მიდიან?
გთხოვ, ინტერესით გაადევნო თვალი ნაოჭებს
და დარწმუნდები, წლები სახეს როგორ იცვლიან.
სწორედ ამ ბაღში, ამ ადგილას შევხვდით პირველად.
გახსოვს, მოჩითულს კაბას შენსას, ძალიან მოკლეს,
ნიავი როგორ მოწიწებით აფრიალებდა?
ვითარცა მტვერსა ქარ-ბორბალა, შეჭიდებული,
გრძნობა იმგვარად ამღვრეულ სისხლს ატრიალებდა.
ვიწრო წელის გოგმანითა
მოაგოგმანებდი თავსა.
მკერდი, როგორც თაიგული,
გულზე მტრედის დასმა.
წარბ-წამწამთა მიხრა-მოხრა,
ღაწვზე ცეცხლის გაშლა.
სისხლის ცეკვა-თამაშია
და გრძნობების აშლა.
სიტყვა ვერ ვნახე შესაფერი, რომ შენთვის მეთქვა...
წარმოიდგინე, შევეგუე მის უმწეობას.
სიტყვა შემძულდა ვით უძლური, ვით უსუსური.
მსურდა, მთრთოლვარე შენი ხელი დიდხანს მჭეროდა,
სიტყვაზე მეტად მდუმარების უფრო მჯეროდა.
ბედი მქონია შენთან ერთად რომ არ ვიცხოვრე.
ვერ გავუძლებდი ნელა-ნელა შენს დაბერებას.
რამ საოცნებო, საიდუმლო ხატად გაქციე,
რომ არასოდეს წაერთმიათ, რაც გულში მქონდა.
ნუთუ ისა ხარ? დაინახე, ნუთუ ისა ხარ?
ჩაცვივნულ თვალებს ნუ მომაპყრობ, ეგრე სევდიანს,
ნუ შეაჩერებ სინანულით წამწამზე მაგ ცრემლს!
თვალს და ხელს შუა მიქარწყლდება წლების
სიმძიმე,
გაუფერულდა მოგონება, და ჩემი ხატი.
ო, არა, არა, ვერ მარწმუნებ, შენ ის არა ხარ,
ტყუილად ცდილობ, დამაჯერო, რომ შენ მიყვარდი;
მაშ, გაიარე, გაიარე როგორც ოდესღაც,
მაგ გამხმარ სხეულს როგორ მისცემ ძველს
მიხრა-მოხრას?
როგორ აანთებ წამწამზე ცეცხლს უფრო ელვარეს,
ვიდრე მუგუზლის ნათებაა მუდმივ ბერვისას?
წადი! გთხოვ, წადი! შემიბრალე, გული არა გაქვს?
თუ გულსაც, დროსთან შეჭიდებულს, ძარღვი გაუწყდა?
გთხოვ, ნუ მაჩვენებ მაგ დაჭმუჭნულ სახეს, ბებრისას,
გადამირჩინე სიყმაწვილე, ასე სათუთი!
სამოცდაათი ... გაცვეთილი სამოცდაათი...
მომეცი ხელი. ცივი სისხლი ცივ ხელს გაათბობს?
ან ჩემი ბაგე გაგრძნობინებს სულის სინაზეს?
ყური დაუგდე, განა წლები ჩუმად მიდიან?
გთხოვ, გულისყურით გაადევნო თვალი ნაოჭებს
და დარწმუნდები, წლები სახეს როგორ იცვლიან.

# „წინ დამიდეს ჩემივე გარდაცვალების დასკვნა“...

**ჩვენც, ყველანი, მთელი ქართული, და არა მხოლოდ ქართველი საზოგადოება, იქ მოვედით გონს, სადღაც, ძალიან ვიწრო საკანში, ბეტონის იატაკზე და ვერ წარმოვიდგენდით თუ „ნაციონალურ მოძრაობად“ წოდებული ბანდა, სულ მცირე, 20 წელი მაინც არ იქნებოდა ხელისუფლებაში. ამ ოც წელიწადში ცხოვრებიდან უნდა წასულიყო ერთი თაობა, უნდა ჩარეცხილიყო მეორე თაობა, ხოლო მესამე თაობას, ვინც ნაციონალების ზეობის დასაწყისში ის-ის იყო იწყებდა დამოუკიდებელ ცხოვრებას, მთელი დარჩენილი ცხოვრება იმ შთაბეჭდილებებით დამძიმებულს უნდა გაეტარებინა, საგულდაგულოდ დანომრილი დაწესებულების საგულდაგულოდ დანომრილ საკანიდან რომ გამოჰყვა.**

**„უკვე როდესაც იყვნენ დაღლილები ჩემი წამებით, ხოლო მე, სიკვდილის პირას მყოფი, ხელით შემიტანეს საკანში, ხოლო როდესაც გადამიყვანეს ქუთაისის ციხეში, იქ უკვე სისტემატიურად ჰქონდა ადგილი, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ წამებას. ყოველდღე ჩემთან შემოდიოდა ერთ-ერთი თანამშრომელი და მაფრთხილებდა, რომ მე ცოცხალი ვერ გავიდოდი ციხიდან და ჩემთვისვე უკეთესი იქნებოდა, თუ ჩემი ხელით დავასრულებდი სიცოცხლეს. ასე გავატარე სამი წელიწადი...“** — ესეც ყოფილი პატიმრის სულხან გ-ს წერილიდან.

აი, კიდევ ერთი ეპიზოდი, ამჯერად ზვიად კ-ს „ტკბილი, ნაციონალური“ მოგონებები: **„ყველასთვის ცნობილია, რომ ე.წ. კრიტში იყო ცხოვრებისთვის შეუსაბამო და ყოვლად არაადამიანური პირობები, რაც გამოიხატებოდა როგორც შენობის ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის ვადის გასვლის (გაუმართავი წყალკანალიზაცია, ნესტი, ბაღლინჯოები და ა.შ.) ასევე ადმინისტრაციის მხრიდან ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზემოქმედება-წამებაში — ცემა, შუაღამით, თითქოს შემოწმების მიზნით ზამთრის პერიოდში, ყინვის დროს წელს ზემოთ გახდილი 3-4 საათის განმავლობაში ღია ცის ქვეშ გაუნძრევლად დგომა, მათთვის საჭიროების შემთხვევაში საერთოდ უცნობ პატიმარზე სასურველი ჩვენების მიღება, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ იღებდნენ და რასაც შემდგომ მოჰყვებოდა მრავალფეროვანი, უამრავი სასჯელი, რის შესახებაც საზოგადოებამ კარგად იცის, ასევე მრავალი სხვა, რაც დამოკიდებული იყო შესაბამის დროს შესაბამისი ციხის უფროსის იმპროვიზაციის უნარზე“.**

## რაც შეეხება იმპროვიზაციის უნარს...

ყოფილი პატიმრის, ილგარ ქ-ს ნაამბობიდან: **„ე.წ. კარანტინში 23 დღე მაწამებდნენ, დღეში ორჯერ შემოდიოდნენ და მცემდნენ იმ მომენტამდე, სანამ უგონო მდგომარეობაში არ ჩავვარდებოდი. შემდეგ, ვიღაც თავიანთი გამომძიებელი მოვიდა, ამიყვანეს ზემოთ და ვითომ „კოიკიდან“ გადმოვვარდი და იმიტომ მივიღე დაზიანებები, მითხრეს, რომ ხელს თუ არ მოვაწერდი ცრუ ოქმს, სიცოცხლეს მომისპობდნენ. შემდეგ, ე.წ. აბსლუგიდან მოიყვანეს ვიღაც პატიმარი, რომელმაც ჩემ მაგივრად, ჩემი სახელით დაწერა, რომ მე ვითომდა დაზიანებები „კოიკიდან“ გადმოვარდნის შედეგად მქონდა მიღებული. ეს ყველაფერი აისახა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ნახევარი სიცოცხლე წამართვეს, ცხვირი გამიტეხეს, ხერხემალი დამიზიანეს, ნეკნები ჩამიმტვრიეს, ტვინი შემირყიეს და გულის ტკივილები დამმართეს, პროკურატურიდან კი არანაირი რეაგირება არ მოყოლია“.**

რა რეაგირება უნდა მოყოლოდა? პროკურატურა საკუთარ შვილს ხომ არ მოჭრიდა კუდს? საკუთარ ძმას ხომ არ მოჭრიდა თავს? საკუთარი ფეხით ხომ არ წავიდოდა ციხეში მაშინ, როდესაც მომავალი ბედნიერი 20 წელი უკვე დეტალებში ჰქონდათ დაგეგმილი: პროკურატურიდან პარლამენტში, პარლამენტიდან მთავრობაში, ხოლო მთავრობიდან სეიშელის, ბერმუდის და კანარის კუნძულებზე. და, რა თქმა უნდა, ამას არ იკმარებდნენ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 24

**„არ მაკმარეს უკანონო პატიმრობა, გლდანის №8 საპყრობილეში, ე.წ. კონცლაგერში გავხდი მუდმივი ძალადობის და სასტიკი წამების მსხვერპლი. დანგრეული სახე, ცხვირ-პირი, მოტეხილი მკლავი, დაზიანებული ხერხემალი, კიდურები, მიჭირს გადაადგილება. არ არსებობს დაავადება, რაც მე არ ამკიდეს, ინფექციური დაავადებები. 40-გრადუსიანი სიცხით გათანგული ვყავდი კარანტინზე წყალში, რომ მალე მოვმკვდარიყავი, მენატრებოდა კამერაში აყვანა, არ მქონდა უფლება, მომეთხოვა ექიმი. ასეთი ცემის და მძიმე წამების შემდეგ, 2009 წლის 15 ივნისის დადგენილებით, სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სასამართლომ გამათავისუფლა პატიმრობიდან, გამოჯანმრთელებამდე ყოველწლიური ექსპერტიზის ჩატარებით. გამხადეს მეორე ჯგუფის ინვალიდი. ვარ 31 წლის. ჩემი მდგომარეობის გამო, სახლი და ყველაფერი გავყიდეთ, გავხდი ღატაკი და სოციალურად დაუცველი. ვერ ვყიდულობ წამლებს, ვერ ვიღებ საკვებს ნორმალურად“,** — ამბობს კიდევ ერთი ყოფილი პატიმარი, თენგიზ ნ.

**„გამხადეს მეორე ჯგუფის ინვალიდი. ვარ 31 წლის...“** — აი, რას გულისხმობდნენ, როდესაც ამბობდნენ **„ჩავრეცხავთ, „ყველანი ციხეში“, „სულს ამოვხდით“...**

აი, კიდევ ერთი „ტკბილი მოგონება“: **„2011 წლის აგვისტოში დამიდგინეს ტუბერკულოზი და გადამიყვანეს ქსნის №18 დაწესებულებაში. იქ ერთი თვის განმავლობაში ვიმყოფებოდი არაადამიანურ პირობებში, ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას, გინებას, ფიზიკურ შეურაცხყოფას, ამასთან ერთად, წინ დამიდეს ჩემივე გარდაცვალების დასკვნა იმ შემთხვევისთვის, თუ მე არ შევასრულებდი მათ პირობებს. მათ დადგენილ წესებში ძირითადი მოთხოვნა იყო, რომ არაფერზე ხმა არ უნდა ამომეღო, თუ როგორ ანადგურებდნენ ფიზიკურად და მორალურად პატიმრებს, შეგნებულად აქრონიკებდნენ ბიჭებს. ქრონიკები და ჩვეულებრივი ტუბერკულოზიანები ერთად იმყოფებოდნენ კამერაში“** (ზაზა მ.)

დღეს უკვე დადგენილია, რომ პატიმრების დასნებოვნება სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციის სრულიად მიზანმიმართული პოლიტიკა იყო — ციხე, როგორც უმოკლესი გზა სასაფლაომდე. დირექტივა იყო **„სული ამოხადეთ!..“** რაც შეეხება მეთოდებს, ეს უკვე მართლაც ციხის ადმინისტრაციის ფანტაზიაზე, იმპროვიზაციის უნარზე იყო დამოკიდებული. 2009 წლის აპრილში იმპროვიზაცია იყო თურქეთის კურორტ ბოდრუმში გასართობად ჩასული სააკაშვილის სიტყვები — **„მე აქ სასათბური მეურნეობების დასათვალიერებლად ჩამოვედი“** და ასევე, იმპროვიზაცია იყო ისიც, 2011 წლის აგვისტოში პატიმარს მისივე გარდაცვალების დასკვნა რომ წააკითხეს.

ხოლო ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დავსხდეთ და ვიმკითხაოთ: **სად დაიბადნენ, სად გაიზარდნენ, რას ასწავლიდნენ და რას სწავლობდნენ, რას კითხულობდნენ და რას იგებდნენ, რას უსმენდნენ და რა ესმოდათ, რას უცქერდნენ და რას ხედავდნენ, რა დასკვნები გამოჰქონდათ, რას ფიქრობდნენ, რა სურდათ და როგორ მოხდა, რომ ადამიანს საკუთარი გარდაცვალების დასკვნა წააკითხეს!**

ეს არის კითხვები, რომლებზე პასუხიც ყველას გვაინტერესებს, მაგრამ ის ბიჭი... აი, ის ახალგაზრდა კაცი, რომელიც დარჩა სამსახურის გარეშე, ნასამართლევი, და ახლობლების დახმარებით ფარავს ბანკიდან აღებულ ვალს... იმ ახალგაზრდას სხვა შეკითხვებიც გააჩნია: **„ახლა კი, რამდენიმე სიტყვით მინდა ჩემსა და მამაჩემის ბრალად შერაცხილ ქმედებაზე მოგახსენოთ — ეს არის თაღლითობა, ხოლო 180-ე მუხლი კი დოკუმენტების გაყალბებას ითვალისწინებს. როგორც მოგეხსენებათ, თაღლითობის ძირითადი მახასიათებელი არის ტყუილი. მე მაინტერესებს, ვინ მოვატყუეთ მე და მამამ, თუკი ასეთი მოტყუებული არსებობს. ვინ დაზარალდა? ვისი უფლებები შეიბღალა? რაც შეეხება დოკუმენტების გაყალბებას, მაინტერესებს, რომელი დოკუმენტი გაყალბდა, ვისი ხელმოწერები გავაყალბეთ ან საერთოდ, რა დანაშაული ჩავიდინეთ?“**



## რა მაგარი ყოფილა „ვლასტი“

**2003 წლამდე ვანო მერაბიშვილს ერთადერთი ნატვრა ჰქონდა — ახალციხეში სავაჭრო ცენტრის გახსნა. ალბათ, გივი თარგამაძე საკუთარ რესტორანზე ოცნებობდა, სადაც მთვრალ გივის ვერავინ დაუშლიდა მიმტანი გოგონებისთვის უკანალზე ბრწკენას, დაცვასთან ჩხუბს, მინების მსხვრევას... თუმცა, მინების მსხვრევა ასეთებს მაშინ სიამოვნებთ, როცა სხვაგან არიან და მინაც სხვისია.**

2003 წლის ბოლოს, როდესაც ვანო მერაბიშვილი უშიშროების საბჭოს მდივნად დაინიშნა, ერთმა, ინფორმირებულობიდან და, კარგი რეპუტაციიდან გამომდინარე, სარწმუნო წყარომ მითხრა, რომ თავიდან ეს თანამდებობა გივი თარგამაძეს მოუთხოვია და როდესაც მერაბიშვილს უკითხავს, რატომ მაინცდამაინც ეგო, გივის ძალიან პოპულარული ენით აუხსნია, რომ უშიშროების საბჭოს მდივნობა გულისხმობს კარგ კაბინეტს, კარგ პერსონალურ ავტომობილს, მაღალ ხელფასს და მუდმივ მოგზაურობას სამიტებზე და კონფერენციებზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ეგზოტიკურ ქვეყნებში იმართება, ეს „პაესტკები“ კი მივლინებად გეთვლება. მოკლედ, საქმე არაფერი გაქვს, სულ გულაობ და ფული მოდისო — უთქვამს გივის.

როგორც ჩანს, მიღებულმა ახსნა-განმარტებამ ვანო მერაბიშვილი სრულად დააკმაყოფილა და... უშიშროების საბჭოს მდივნის სავარძელში თავად მოკალათდა.

**სხვათა შორის, ელიტარულ კორუფციასთან დაკავშირებული პირველი სკანდალი სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება. 2004 წლის დასაწყისში სახელმწიფო კანცელარიის შენობასთან, ფულით სავსე ჩანთით დააკავეს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი წევრი (ამ ამბების შემდეგ მალევე გარდაიცვალა), რომელმაც გამოძიებას განუცხადა, რომ ჩანთა „ბატონ ვანოსთან“ მიჰქონდა, მაგრამ რა გვარი იყო „ბატონი ვანო“ და რომელი კაბინეტიდან იწყებდა სავაჭრო ცენტრების გაკონტროლებას, ასეთი უმნიშვნელო დეტალებით გამოძიება არ დაინტერესებულა და ნურც ჩვენ დავინტერესდებით, რამეთუ ისედაც ცნობილია, რომ იმ დროს სახელმწიფო კანცელარიაში იქნებ ბევრი ვანოც კი იყო, ოღონდ „ბატონი ვანო“ იყო მხოლოდ ერთი. რაც შეეხება მომდევნო წლებს, ისევე როგორც ერთია ილია, ერთია შოთა აკაკი, ვაჟა, და გალაკტიონი, ვანოც ერთი იყო — ვანო მერაბიშვილი. უბრალოდ ვანო და, რა თქმა უნდა, უბრალოდ მიშა, უბრალოდ გიგა, უბრალოდ გივი და ამ უბრალოებამ ბოლოს „უბრალოდ ალისტრახომდე“ მიგვიყვანა. ალისტრახოზე — შემდეგ.**

**ეს — რათა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, ვის დაავალა მიხეილ სააკაშვილმა „ყველანი ციხეში“ და ვინ გვპირდებოდა, სულს ამოგხდითო. სასაცილო იქნებოდა, რომ არა რობაქიძე, გირგვლიანი, ვაზაგაშვილი, გამცემლიძე, თეთრაძე, კრიალაშვილი, შავაძე, აფრასიძეები... რეპრესირებულები, ვეტერანები, დევნილები და სხვანი და სხვანი, რომლებსაც აუსრულეს და რომლებსაც შეუსრულეს ის, რასაც დაპირდნენ — „ყველანი ციხეში, სულს ამოგხდით!..“**

მეგობარმა, ასევე სანდომ და ინფორმირებულმა დამარწმუნა: **„მოქალაქეთა ახალგაზრდულმა კავშირმა, რომელიღაც თარიღის აღსანიშნავად ე.წ. ივენთი მოაწყო, ჩვენებურად — სმა-ჭამა და ღლაბუცი. სანამ ფხიზლები იყვნენ, ვიქტორინა ჩაატარეს. ყველას დაურიგდა კითხვარი, რომელზეც პასუხები უნდა გაეცათ და ყველაზე ერუდირებულს გამოავლენდნენ. იოლი კითხვები იყო. მაგალითად — თამარ მეფე ქალი იყო თუ კაცი? გიორგი სააკაძე ცხენით გადაადგილდებოდა თუ ველოსიპედით? კონსტანტინე არსაკიძეს მკლავი მოჭრეს თუ სკალპიააძრეს?**

ახლა, მეც ვხუმრობ, მაგრამ მართლა იოლი კითხვები იყო. დასხდნენ, შეავსეს, ჩააბარეს და როდესაც გამარჯვებულის გამოვლენის ამაღელვებელი მომენტი დადგა, საღამოს წამყვანმა სცენაზე კობა ბექაური იხმო. ყველას გაუკვირდა, პირველ რიგში — ბექაურს, მაგრამ ჩათვალეს, რომ რამე სპეციალურ პრიზზე იქნებოდა საუბარი, მაყურებელთა სიმპათიის ან რაღაც ეგეთი. ავიდა ბექაური, წამყვანმა მხარზე მოხვია ხელი და მიკროფონში გამოაცხადა: **„ბატონებო, სანამ გამარჯვებულის ვინაობას გეტყოდეთ, მინდა წარმოგიდგინოთ კაცი, რომელმაც სწორი პასუხი ვერც ერთ კითხვას ვერ გასცა“.**

იქ ამბავი ამტყდარა... გაივლის წლები და ბექაური მოგვევლინება დეპუტატად, ერთ-ერთ გავლენიან პოლიტიკოსად, ბიზნესმენად და რეზერვისტად. ხოლო დღეს, კითხვაზე — ერთი ტონა ბამბა უფრო მძიმეა თუ ერთი ტონა რკინა — ალბათ, ნიშნისმოგებით გაიცინებს: „რა თქმა უნდა, ერთი ტონა რკინა“.

დასანანია, რომ დღეს კობა ბექაური აღარავის ახსოვს. და განა მხოლოდ კობა ბექაური — ბესო ჯუღელი, მაია ნადირაძე, ზურაბ ნოღაიდელი, ბიძინა ბრეგაძე, რატი სამყურაშვილი, ზაზა ბეგაშვილი... აღარავის ახსოვს, რომ: გია ბარამიძე შევარდნაძის დროს ანტიკორუფციულ კომისიას ხელმძღვანელობდა; ხათუნა გოგორიშვილი შევარდნაძის პარლამენტის

აპარატის უფროსი იყო; მიხეილ მაჭავარიანი იყო შემოსავლების მინისტრი და მის სახელს უკავშირდება აქციზური მარკების შემოტანის, ჩემი აზრით, სამართალდამცველებისთვის საინტერესო ისტორია; თავად სააკაშვილი იყო მოქალაქეთა კავშირის უმრავლესობის ლიდერი, იუსტიციის მინისტრი და იმ დროს იმ სამინისტროში არსებული კორუფციული ფაქტებით დაინტერესებას შეეწირა სრულიად ახალგაზრდა კაცი სულხან მოლაშვილი.

ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რას ფიქრობდნენ ისეთს, რომ შემდეგ გააკეთეს ის, რაც გააკეთეს და ვიმკით იმას, რასაც ვიმკით. რას ფიქრობდნენ და როგორ ცხოვრობდნენ? საერთოდ, არ ვარ განზოგადების მომხრე, ყველა ადამიანი უნიკალურია, მაგრამ ხანდახან ერთის მაგალითზე შეიძლება დასკვნების გამოტანა, ერთი გაცნობს დანარჩენებს და ახლა ასეთი „ერთის“ ერთ ამბავს გიამბობთ, უფრო სწორად, ჩემი მეგობარი, ჟურნალისტი ზვიად დოლიძე მომიყვა და დღეს სიტყვასიტყვით გადმოგცემთ:

„გაგანია 90-იანებია. ტყვიები დაფრინავენ სოფელ-ქალაქებში და ავტომატიანი ჯეელები გულაობენ საქართველოში — ზოგი თვითონაც ბიზნესმენობს, ზოგიც — მხოლოდ „გოიმებს“ კრიშავს. ერთი ასეთი გოიმი (აქ ბრჭყალები არ არის საჭირო), ქართველი ებრაელი იყო, რომელიც მანამდე „საქართველოს ახალგაზრდა სიონისტთა (!!!) ასოციაციის“ დამფუძნებელი (თუმცა, ახლა არსად არ ახსენებს ამას), მერე კი — სააკაშვილის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა ბრძანდებოდა.

თბილისის აეროპორტში ასეთი სიტუაციაა: თვითმფრინავები ავტობუსებივით დადიან, პირდაპირ ტრაპზე ხვდება ხალხი, რა კონტროლი, რის განბაჟება... ჩამოიტანს ვინმე 10 ათასი დოლარის ტვირთს, იქვე თავისი მანქანა და „შინაური“ მებაჟე დახვდება, გააფორმებენ ათას ხუთასისას, მებაჟე თავის ასდოლარიანს მიიღებს და ყველა კმაყოფილია.

ძმაკაცი მირეკავს, მებაჟეთა ცვლის უფროსად მუშაობს აეროპორტში, სამ დღეში ერთხელ და ჩვენი სამეგობროს მთავარი სპონსორია:

— ბიჭო, ამას (იმ გოიმის გვარ-სახელს ამბობს. **დ.გ.**) ხომ იცნობ?

— კი, ვიცნობ, ერთად ვსწავლობდით.

— ჰოდა, თუ ეგრეა, იქნებ შენ იცოდე: ვინც ჩამოდის, ყველა იმაში იხდის ფულს, რომ შემოტანილზე ნაკლები საქონელი გავუფორმოთ. ამას კიდევ, 50 კილო ძროხის ხორცი ჩამოაქვს ყოველ კვირა ისრაელიდან და პირიქით — მეტს გვაფორმებინებს, 500 კილოს გვაწერინებს. ფულს კი იხდის, მაგრამ რავი, შარში არ გაგვხვიოს...

— კაცო, დაიკიდე, გამოართვი, რასაც იხდის, წამოიღე, რაც საჭიროა და მოდი რა დროზე!..

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რამდენიმე თვის შემდეგ გაირკვა: თბილისში ხორცი ღირდა სამი ლარი (ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ დავუშვათ), მორწმუნე ებრაელების ქაშერულ მაღაზიაში, სპეციალური რელიგიური წესით დაკლული და დამუშავებული — 5 ლარი, ხოლო ასეთივე, ოღონდ ისრაელიდან ჩამოტანილი — იქაური ხახამის მიერ დაკლული — 15 ლარი!!!

„ფოკუსი“ მარტივია: ჩამოჰქონდა 50 კილო, დანარჩენ 450 კილოს ყიდულობდა დილის ოთხ საათზე დეზერტირების ბაზარში 2 ლარად (ისიც ენანებოდა, რომ გამოეძინა და მერე მაღაზიაში ეყიდა 3 ლარად), მიდიოდა ქაშერის მაღაზიაში საბაჟოს ცნობით, რომ 500 კილო ჩამოიტანა ისრაელიდან, და მთლიანად აბარებდა კილოს 13 ლარად!!!

ჯანდაბას, 2 ლარად ნაყიდის 13-ად გაყიდვა შეერგოს, მაგრამ საკუთარ თვისტომს, სისხლსა და ხორცს, მორწმუნე ადამიანებს ასე თახსირულად რომ ატყუებ, მე რაღას მიზამ?!

ჰოდა, ის გვიქნა, რაც მოსალოდნელი იყო ასეთი კაცისგან. თვითონ არის ტკბილად ახლა, დალაგებულ ქვეყანაში...

**P. S. გაუგეს და სასტიკი სასჯელი ელოდა თურმე — მოკვლასაც უპირებდნენო! სიმამრს უჩალიჩია — ოთუზბირად გამოისყიდა მისი უსაფრთხოებაო... მერე ასმაგად ამოიღო, მიშას დროს...“**

**დიტო გელოვანი**

(გაგრძელება იქნება)

# წიგნი მათთვის, ვისაც სპორტი ეძვირფასება



**გასული** წლის მიწურულს სპორტის მოყვარულებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. გამოვიდა **ვალერიან (სულიკო) როგავას** ავტობიოგრაფიული, სქელტანიანი და შესანიშნავად ილუსტრირებული წიგნი **„ჩემი ცხოვრება სპორტში“**. წიგნი რუსულ ენაზე გამოიცა.

ჩვენთვის, კაკულიების ოჯახისთვის, ეს მართლაც დიდი საჩუქარია, რადგან ბატონი სულიკო და ალეკო (ალკაზარ) კაკულია ხომ სიყრმის მეგობრები იყვნენ. ბატონი სულიკო, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნეა მოსკოვში ცხოვრობს, არასოდეს ივიწყებს თავის სამშობლოს, მეგობრებს, თანამშრომლებს. სწორედ ამის დასტურია ეს შესანიშნავი წიგნიც, რომელიც დიდი საზოგადო მოღვაწის ცხოვრების გზას აგვიღწერს ქართულ და საბჭოთა სპორტის ისტორიის კვალდაკვალ, იგი ხომ მართლაც ლეგენდარული „დინამოელია“ და ამ საზოგადოების ცოცხალი მემატიანე. ბატონი სულიკოს ოჯახში ინახება **ალეკო კაკულიას** წიგნი **„ცეკაშიც მუშაობდნენ ადამიანები“, რომელსაც მეგობრისადმი თბილი წარწერა ამშვენებს: „ჩემს ძვირფას მეგობარს სულიკო როგავას. უამრავი ისტორია, რომელიც ამ წიგნშია ასახული, შენთვის სასიამოვნო მოგონებები იქნება. მჯერა, რომ ისინი გაგახსენებენ მშობლიურ საქართველოს და ადამიანთა იმ თაობას, რომლებთანაც მოღვაწეობდი. ძალიან მიყვარხარ. შენი ძმა ალეკო კაკულია. 05.11.2004 წ. თბილისი“.**




სწორედ ამ დიდი მეგობრობის დასტური იყო, რომ ბატონი სულიკოს წიგნიც ჩვენს ოჯახში აღმოჩნდა მისი ნაადრევად წასული მეგობრის პატივსაცემად და გასახსენებლად. ჩვენთან სტუმრად ყოფნისას ოჯახის ახლობელმა ქალბატონმა მერი ცომაიამ, რომელიც მოსკოვის ტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია (1963 წ.), ყურადღება მიაქცია ქართველი კაცის მიერ რუსულ ენაზე დაწერილ წიგნს, სიამოვნებით წაიკითხა იგი და ამის შემდეგ ერთობლივად გადავწყვიტეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საშუალებით ქართველი საზოგადოებისთვის გვემცნო ასეთი შესანიშნავი თანამემამულის მიერ გადმოცემული წიგნის შესახებ.

ბატონი სულიკო როგავა ამ ავტობიოგრაფიულ წიგნს უძღვნის ახლობლებს, მეგობრებს, „დინამოელებს“, სპორტსმენებს — ცოცხლებსა და გარდაცვლილებს. წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატს, ცნობილ ველომრბოლელს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, რუსეთის სპორტის მინისტრს, უშიშროების გენერალ-მაიორ **ვალერი სისოევს**.

**„ვალერიან (სულიკო) როგავას წიგნი ემოციურად და სიყვარულით დაწერილი საბჭოთა სპორტის ისტორიაა, საქართველოსა და საზოგადოება „დინამოს“ სპორტის მატიანეა. გასაკვირი არცაა — წიგნის ავტორი ხომ ორმოც წელზე მეტია ამ ისტორიის თანამოზიარეა. აღსანიშნავია, რომ სულიკო როგავას ცხოვრება იწყება საქართველოს ულამაზესი კუთხის ბორჯომის ხეობის, სადაც ის დაიბადა, აღწერით და ისტორიული კოლხეთით, საიდანაც ბატონი სულიკოს ფესვებია. შემდგომში წიგნის თემატიკა და შინაარსი ახალ მიმართულებას იძენს — თბილისის რესპუბლიკური ორგანიზაციიდან მოსკოვში „დინამოს“ საბჭოთა კავშირის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტამდე. საბჭოთა კავშირის დედაქალაქიდან, უზარმაზარი ქვეყნის, თითქმის ყველა რესპუბლიკის დედაქალაქების ჩათვლით, ბალტიისპირეთიდან ამერიკის ფლორიდის სანაპირომდე, ვლადივოსტოკიდან ავსტრალიამდე — ყველა იმ ადგილამდე, სადაც კი უღვაწია ბატონ სულიკოს“. — წერს ბატონი ვალერი თავის ვრცელ შესავალ წერილში და თბილად იხსენებს თავის მეგობარს.**

ბატონმა სულიკომ თავისი პირველი წიგნი „დინამო! Динамо! Dynamo“ 2005 წელს გამოსცა და საქართველოს „დინამოს“ საზოგადოების 80 წლის იუბილეს მიუძღვნა. წიგნი ვეტერან დინამოელებს ეძღვნებოდა. მაშინაც წიგნის წინასიტყვაობის ავტორიც, ბატონი სულიკოს თხოვნით, ვალერი სისოევი გახლდათ.

პირველი წიგნის გამოსვლას თბილი სტრიქონებით შეეხმიანა სპორტული გაზეთი „ლელო“, ამ წიგნის გამოსვლა კი „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან გვსურს, ვამცნოთ ქართველ მკითხველს, სპორტის მოყვარულებს, რადგან წიგნში შეხვდებით ისეთ ლეგენდარულ სპორტსმენებს, საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებმაც საზოგადოება „დინამოს“ საშუალებით სახელი გაუთქვეს ჯერ ჩვენს ქვეყანას და შემდგომ საბჭოეთს მსოფლიო არენაზე. წიგნი მართლაც ფართო აუდიტორიისთვისაა გათვლილი და, ალბათ, ამის მიზეზიცაა ის, რომ იგი რუსულ ენაზეა გამოცემული.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართული სპორტის მოყვარულები დიდ სიამოვნებას მიიღებენ ამ წიგნის წაკითხვით. სასურველია, ეს შესანიშნავი წიგნი ქართულადაც ითარგმნოს.

**ნინო ბეჟიტაშვილი-კაკულია,**
**მერი ცომაია.**

**გამოიცა**

# ამბავი ლეგენდარული „ბარსას“ ლეგენდარული კაპიტნისა




**დიდებული საჩუქარი მიიღეს სპორტის, განსაკუთრებით ფეხბურთის ქართველმა ქომაგებმა: გამომცემლობა „არტანუჯმა“ მისთვის ჩვეულ უზადო პოლიგრაფიულ დონეზე, დიდი მხატვრული გემოვნებით შესრულებული თანამედროვეობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფეხბურთელის ანდრეს ინიესტას წიგნი „შემოქმედი“ გამოსცა.**

კატალონიის „ბარსელონასა“ და ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების კაშკაშა ვარსკვლავმა განვლილი ცხოვრებისა და გამორჩეული საფეხბურთო კარიერის პერიპეტიების, თავისი ცხოვრების საგულისხმო მომენტების შესახებ წიგნი ორი ახლობელი ჟურნალისტის **მარკოს ლოპესისა** და **რამონ ბესას** თანაავტორობით დაწერა. **„ისინი ნამდვილად პროფესიონალი ჟურნალისტები არიან, რომლებიც „ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრებში ჩემს კარიერასაც კარგად იცნობენ და ფეხბურთიც შესანიშნავად ესმით“,** — წერს თანაავტორების შესახებ ანდრეს ინიესტა.

წიგნის შინაარსის თუნდაც „სატელეგრაფო“ სტილში მოთხრობის მცდელობასაც კი, დარწმუნებული ვარ, აზრი არა აქვს, ვინაიდან თავად საფეხბურთო გენიოსის, მისი ახლობლების, კოლეგა სპორტსმენების თუ მწვრთნელების გარდა, მთავარი მოქმედი პერსონაჟი „მისი უდიდებულესობა ფეხბურთია“, რომელიც ჭეშმარიტად ოკეანესავით ამოუწურავი, ყოველ წამს ცვალებადი და ამით უდიდესი ხიბლის მქონეა.

მინდა, მხოლოდ წიგნის (რომელიც ინგლისურიდან საუცხოოდ თარგმნა ივანე ჩხიკვაძემ) გამომცემელთა წარდგენითი ანონსის მცირედი ამონარიდი შემოგთავაზოთ: **„ეს ამბავია ანდრეს ინიესტას შესახებ. ამბავი, რომელსაც GOOGLE-ში ვერ ნახავთ... ეს არ არის ტრადიციული ავტობიოგრაფია. ინიესტამ განსხვავებული მიდგომა აირჩია: მას სურდა, წიგნშიც ისეთი როლი ჰქონოდა, როგორც მოედანზე — ბურთი აეღო და პასების ჩამორიგებას შედგომოდა“.**

და კიდევ: **„ამასთან ერთად, თანაავტორების დახმარებით, ინიესტამ გადაწყვიტა, რომ მასზე მწვრთნელებს, ფეხბურთელებს და ოჯახის წევრებსაც ესაუბრათ და „ბარსას“ კაპიტანი სხვადასხვა გარემოში, მისი ცხოვრებისა და სპორტული კარიერის სხვადასხვა პერიოდში წარმოეჩინათ“.** ამას და, ცხადია, ყველაფერ დანარჩენს მკითხველი თავად წიგნში ნახავს.

**ნინო ალექსანდრია**

◉ ლეგიონერი



# ბითაძის სოლო

**ადრიატიკის ლიგის მე-18 ტურში გოგა ბითაძის „ბუდუჩნოსტმა“ „მორნარს“ მონტენეგროული დერბი 102:71 მოუგო, 19 წლის ქართველი კალათბურთელი კი პოდგორიცელთა სასტარტო ხუთეულში პირველად გამოჩნდა და შედეგიანადაც გაისარჯა.**

მან მოედანზე 22 წუთი გაატარა და 14 ქულა, 3 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. გოგამ 4-ვე ორქულიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა, ბურთი 2-ჯერ დაკარგა და 3 პერსონალური ფოლი მიიღო, ხოლო მის წინააღმდეგ 4-ჯერ დაჯარიმდნენ. „ბუდუჩნოსტი“ 13 მოგებითა და 5 მარცხით სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი 10 თებერვალს ბელგრადში „პარტიზანთან“ გამართავს. მანამდე, ხვალ ბითაძის კლუბი ევროლიგის ეგიდით რუსულ „ხიმკის“ დაუხვდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ მეტოქე

# რუმინეთი „ბორჯღალოსნებს“ იმედიანად ხვდება

**რუმინეთის ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა შემადგენლობა დაასახელა რაგბი ევროპის ჩემპიონატის სასტარტო მატჩისთვის.**

შეგახსენებთ, რომ „მუხის ფოთლებს“ 9 თებერვალს „ბორჯღალოსნებთან“ შერკინება ელით, ამდენად, გასაკვირი არ ყოფილა, რომ რუმინელთა დროებითმა თავკაცმა **მარიუს ტინკუმ** ექსპერიმენტებზე უარი თქვა და უძლიერეს რაზმს უხმო.



30-კაციან შემადგენლობაში 8 მორაგბეა ფრანგული კლუბებიდან, 7 – „ტიმიშოარადან“, 6 – „ბუქარესტიდან“, 5 – „სტიაუადან“ და 4 – „ბაია მარედან“. თუ ვინ მოხვდება საბოლოო 23-კაციან რაზმში, ეს კვირის ბოლოსკენ გახდება ცნობილი.

რამდენიმე დღის წინათ „მუხის ფოთლებმა“ საკონტროლო მატჩი გამართეს და პორტუგალია 54:0 გაანადგურეს, მომავალი თამაშის წინ კი ტინკუმ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

**„4 თებერვალს მზადება ძირითად ჯგუფთან ერთად დავიწყეთ. ახლა მთავარი აქცენტი საქართველოსთან მატჩზე გვაქვს გადატანილი. მინდა ის ჩანაფიქრები, რაც გაგვაჩნია, მინდორზე სრულად გადავიტანოთ. დარწმუნებული ვარ, თუკი ბიჭები თავდადებით ითამაშებენ და, ამასთან, არჩეულ სტრატეგიასაც ბოლომდე მისდევენ, ჩვენი დამარცხება ძალიან ძნელი იქნება“.**

რუმინულ-ქართული ჯახი შაბათს თბილისის დროით 16 საათზე დაიწყება. თამაში კლუჟის ცენტრალურ სტადიონზეა დანიშნული და მასზე დასწრება თავისუფალია.

ბოლოს მომავალი თამაშის სარეიტინგო მნიშვნელობაზეც ვთქვათ. ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვების შემთხვევაში „ბორჯღალოსნები“ 1 პოზიციით დაწინაურდებიან და მე-12 საფეხურიდან აშშ-ს დააქვეითებენ, აი, მარცხის შემთხვევაში კი საქართველო ტონგასა და იტალიის უკან მე-16 ადგილზე აღმოჩნდება.

### რუმინეთის ნაკრების შემადგენლობა

***ბურჯები:*** *მიჰაი ლაზარი („გრენობლი“, საფრანგეთი), იონ ბადიუ („ვალანსი“, საფრანგეთი), ანდრეი ურსაკე („კარკასონი“, საფრანგეთი), კონსტანტინ პრისტავი („ბაია მარე“), ალექს გორდაში („ბუქარესტი“).*

***კვაჭები:*** *ოთარ ტურაშვილი („კოლომიე“, საფრანგეთი), ეუჯინ კაპატინა („ტიმიშოარა“), ოვიდიუ კოჟოჩარუ („ბაია მარე“).*

***მეორე ხაზი:*** *მარიან დრენჩეანუ („ბუქარესტი“), მარიუს ანტონესკუ („კოლომიე“, საფრანგეთი), იოჰან ფან ჰეერდენი („პერპინიანი“, საფრანგეთი).*

***მესამე ხაზი:*** *მიჰაი მაკოვეი („კოლომიე“, საფრანგეთი), ანდრე გორინი („მასი“, საფრანგეთი), ადრიან იონი („ბუქარესტი“), კრისტიან ჩირიკა („ბაია მარე“), ვიორელ ლუკაჩი („სტიაუა„), დორინ ლაზარი („ტიმიშოარა“).*

***9 ნომრები:*** *ფლორინ სურუჯიუ („სტიაუა“), ვალენტინ კალაფეტეანუ („ბუქარესტი“).*

***10 ნომერი:*** *დანიელ პლაი („სტიაუა„).*

***გარემარბები:*** *იონუც დუმიტრუ („სტიაუა“), ნიკოლას ონუტუ („ბუქარესტი“), ვლად ზაჰარია („ტიმიშოარა“).*

***შუამარბები:*** *ფლორინ ვლაიკუ („ბუქარესტი“), ალექსანდრუ ბუკური („ბაია მარე“), ვლადუც პოპა („ტიმიშოარა“), კატალინ ფერკუ („ტიმიშოარა“), კოსმინ ილიუცა („ბუქარესტი“).*

***ფულბექი:*** *მარიუს სიმონესკუ („ტიმიშოარა“).*

**კობა კობახიძე**

◉ ექსტრიმი

# ოქროები საყინულიდან

ამ დღეებში სლოვენიაში, ბლედის ტბაზე ზამთრის (ყინულჭრილში) ცურვის მსოფლიო თასის სარეიტინგო შეჯიბრება გაიმართა. სპორტის ამ სახეობაში მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს ერთადერთმა წარმომადგენელმა, ზამთრის ცურვის 2018 წლის მე-11 მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა (ტალინი, ესტონეთი), სტუ-ს 72 წლის პროფესორმა **ჰენრი კუპრაშვილმა** ამჯერადაც ასახელა სამშობლო. მან მოიპოვა ოთხი ოქროს მედალი ბატერფლაით ცურვაში 25-მეტრიან და თავისუფალი ყაიდით (კროლით) ცურვაში 100, 50 და 25 მეტრიან დისტანციებზე. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ მან შარშან ცურვაში აღებულ მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალთან ერთად სპორტის სხვა სახეობებშიც ისახელა თავი და თავის ასაკობრივ კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა (ჰურგადა, ეგვიპტე) თანამედროვე ხუთჭიდის ქვესახეობა ბიატლში (სირბილი-ცურვა-სირბილი), ხოლო ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ტრიატლში (სროლა, ცურვა, სირბილი) შედარებით ახალგაზრდებთან შერკინებაში.




როგორც ჰენრი კუპრაშვილმა აღნიშნა, ეს შეჯიბრება მისთვის გენერალური რეპეტიცია და ერთგვარი ძალების მოსინჯვა იყო მე-12 ზამთრის ცურვის მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელშიც იგი მსოფლიო ჩემპიონობას უმიზნებს.

**„მე უზომოდ მადლიერი ვარ თბილისის მერიის, მისი კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო კომისიისა (ირაკლი გვილავა, დათო არეშიძე), რომელიც გვერდში მიდგას და ჩემი ასაკის მიუხედავად სჯერა ჩემი. იგი ყოველთვის მაძლევს შანსს გამოვავლინო ჩემი შესაძლებლობები და ვასახელო ჩვენი ქვეყანა. მეც ვპირდები, რომ თავს არ დავზოგავ და სპორტის ამ სახეობებში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლებს ნამდვილად არ მოვაკლებ საქართველოს.**

ცხადია, მსოფლიო ასპარეზობებზე წარმატებები თავისით არ მოდის. მას წინ უძღვის ყოველდღიური დაუღალავი შრომა (ცურვა, სირბილი, სროლა). უნდა ნახოთ, განსაკუთრებით ცურვას, რამდენი ოფლისღვრა სჭირდება და ყოველდღიურად რამდენი კილომეტრის გაცურვა მიწევს ვაკის აუზში (გენერალური დირექტორი **ამირან თევზაძე,** დირექტორი **ეკა ბარძენიშვილი**), სადაც ყველა პირობა მაქვს შექმნილი მსოფლიო ასპარეზობებზე ღირსეულად რომ წარმოვადგინო ჩვენი ქვეყანა. შედეგებსაც სულ ვაუმჯობესებ შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე. მაგალითად, 2014 წელს ფინეთში ჩატარებულ მე-9 მსოფლიო ჩემპიონატში ჩემი შედეგების შედარებაც კი არ შეიძლება მე-11 მსოფლიო ჩემპიონატში და ახლა სლოვენიის მსოფლიო სათასო შეჯიბრებაზე ნაჩვენებ შედეგებთან. ასევე დიდია სხვაობა ბიატლსა და ტრიატლში 2015 წლის შედეგებსა და 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩემს მიერ ნაჩვენებ შედეგებს შორის.

**სლოვენიაში ვმონაწილეობდი საქართველოს ეროვნული ფედერაციის „სპორტი ყველასთვის“ სახელით. მისი პრეზიდენტი, სახელოვანი ოლიმპიელი მაია აზარაშვილი ყურადღებას არ მაკლებს და ყოველთვის ვგრძნობ მის აქტიურ მხარდაჭერას. თანაგრძნობა და მხარდაჭერა არ მაკლია ჩემი მშობლიური საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდანაც, განსაკუთრებით სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, ყოფილი სპორტსმენი, პროფესორი ირაკლი გაბისონია გამოირჩევა ამ მხრივ. მადლობელი ვარ თქვენი საგენტოსიც, რომელიც ყოველთვის ოპერატიულად აშუქებს ჩემს მიღწევებს“.**

**მოკლედ, წინ კიდევ ბევრი შეჯიბრება მელის და ვეცდები, ვასახელო ჩემი სამშობლო“,** – ამბობს ჰენრი კუპრაშვილი.

**ჯი-ეიჩ-ენი.**

◉ ქარიზმა

# ოჰ, ეს მოურინიუ




**ჟოზე მოურინიუ ჯერჯერობით უმუშევრადაა და თავს სხვადასხვა თავგადასავლებით ირთობს. ამჟამად ის რუსეთშია ჩასული, სადაც კონტინენტური ჰოკეის ლიგის მატჩს დაესწრო მოსკოვის ოლქის ქალაქ ბალაშიხაში.**

ომსკის „ავანგარდისა“ და სანკტ-პეტერბურგის ასკ-ს შეხვედრის წინ (2:0) მან სიმბოლურად ჩააგდო შაიბა და წითელი ხალიჩისკენ გაემართა, მაგრამ ფეხი აუცურდა და ყინულზე მოადინა ზღართანი, თუმცა მალევე წამოდგა, ვითომ აქ არაფერიაო და შაიბა სუვენირად გაიყოლა. ამაშია „განსაკუთრებულის“ მთელი ქარიზმა.

ცხადია, ამ კურიოზს სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურებები მოჰყვა, რომელთა უმეტესობის შინაარსი, ცხადია, იუმორითაა გაჯერებული. იმასაც წერენ, აბა, დღემდე ვინ იცოდა ბალაშიხას ამბავი, ამიერიდან კი ის მთელ მსოფლიოს ეცოდინებაო. ზოგი კი ამბობს, პორტუგალიელი რუსეთში ტყუილად არ ჩავიდოდა, ნეტავ, რაში უნდა იყოს საქმეო.

**გიორგი შოთაძე**

◉ ინტერნეტიდან



# ძალით შეაყვარეს

**სუპერპოპულარული სამი რუსი მოდელიდან (ნატალია ვოდიანოვა, ნატაშა პოლი, ირინა შეიკი) ნატაშა პოლი ერთადერთია, რომელსაც ფეხბურთი ყველაზე ნაკლებად აინტერესებს, მაგრამ რაკი სხვა გზა აღარ დაუტოვეს, ნატაშამაც ამოლღერღა, რომ ფეხბურთით დაინტერესდა და რუსეთის ნაკრებს კვლავინდებურად უქომაგებს.**

ნატაშა მეგობარმა მოდელებმა სტადიონზე პირველად გასულ ზაფხულს რუსეთში მიმდინარე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის დროს წაიყვანეს, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის მთავარი სპორტული არენების ტრიბუნებზე გამოჭიმეს და ფოტოებიც მალიმალ უღეს.ამან ბევრს აფიქრებინა, რომ ნატაშაც საფეხბურთო სექტის წევრი იყო.

რაც შეეხება სამოდელო კარიერას, უკვე 33 წლის ნატაშა პოლი მსოფლიო მასშტაბით ცნობილი და წარმატებული ფეშენ-მოდელია. მას რუსმა კუტურიეებმა თაობის საუკეთესო მოდელიც კი უწოდეს, რაც ლამაზმანმრავალ რუსეთში მართლაც რომ უდიდეს და თვალშეუდგამ აღიარებად უნდა ჩაითვალოს.

**მანუჩარ გიორგაძე**

სულთათანა

# გურანდა გაბუნია

## ქართული სცენის კიდევ ერთი ვარსკვლავი გარდაიცვალა



ცნობილი ქართველი თეატრისა და კინოს მსახიობი გურანდა გაბუნია 81 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გურანდა გაბუნია 1938 წელს დაიბადა, 1960 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის დასში; 1961-1963წწ. მუშაობდა თბილისის სანიტარიული კულტურის, 1967-1970წწ. შოთა რუსთაველის სახელობის, 1970–1975წწ. რუსთავის დრამატულ თეატრებში; 1975 წლიდან იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შესრულებული აქვს შემდეგი როლები: მარგარიტა (ვადიმ კოროსტილიოვი „მარტოობის დღესასწაული“), ასმათი (რევაზ თაბუკაშვილი „რას იტყვის ხალხი“), დოლი (ლევ ტოლსტოი „ანა კარენინა“), ცელია პიჩემი(ბერტოლდ ბრეხტი „სამგროშიანი ოპერა“), და სხვ. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში შესრულებული აქვს შემდეგი როლები: ირინე (სერგო კლდიაშვილი „ქარიშხალი“), ისმენე (ჟან ანუი „ანტიგონე“) და სხვ. რუსთავის დრამატულ თეატრში შესრულებული აქვს შემდეგი როლები: ჟოზე (ოტია იოსელიანი „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“), როქსანა (როსტანი „სირანო დე ბერჟერაკი“), ელის ჩერემისოვა (ვადიმ კოროსტილიოვი „ასი წლის შემდეგ“). შესრულებული აქვს კინოროლები: ირინე („დათა თუთაშხია“, 1978), ჯულიეტა („მზე შემოდგომისა“, 1973), ლაურა („ორომტრიალი“, 1986), დარეჯანი („დღეს ღამე უთენებია“, 1983), ჭორიკანა („აურზაური სალხინეთში“, 1975), რუსუდანი („ერთი ცის ქვეშ“, 1961), ლილის ბიცოლა („თბილისი ჩემი სახლია“, 1994) და სხვ.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია უერთდება სრულიად საქართველოს მწუხარებას გურანდა გაბუნიას გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

# ტურისტი ტერორისტები!..

თბილისში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაკავებული „დონბასის“ მებრძოლი ლუკა ჩხეტია და მასთან ერთად კიდევ 4 პირი უკრაინაში გაემგზავრნენ.

**„არ ვიცი, რა უნდა ვთქვა. ძალიან მრცხვენია მომხდარის გამო. ბიჭები ჩამოვიდნენ საქართველოში დასასვენებლად. მინდოდა, მეჩვენებინა ჩემი სახლი, ჩემი სამშობლო. მაგრამ გამოვიდა ისე, რომ 2 თვე ციხეში ვიჯექით და ახლა უკან ვბრუნდებით. არაფრის თქმა არ შემიძლია იმის გარდა, რომ ეს დიდი სირცხვილია. ოდესმე დადგება დრო, როდესაც ყველა სიმართლეს გაიგებს“**, — განაცხადა ჩხეტიამ.

უკრაინელი მებრძოლები კი ამბობენ, რომ ისინი დამნაშავეები არ ყოფილან და ეს სასამართლომაც დაადგინა.

**„უკვე ყველაფერი რიგზეა, სახლში მივემგზავრებით. ჩვენ ჩამოვედით როგორც ტურისტები და აღმოვჩნდით ტერორისტები. კარგია, რომ ქართული სამართალდამცველი ორგანოები გაერკვნენ ვითარებაში. არავინ არაფერშია დამნაშავე. ყველა გათავისუფლებულია და სახლში ბრუნდება“**, — ამბობს უკრაინის მოქალაქე როლანდ მელია.



შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკრაინის მოქალაქეები რამდენიმე თვის წინ დააკავა. მათ გამოძიება ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას ედავებოდა.

ხსოვნა

საზოგადოება „ზუგდიდელის“ სახელით ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, იური გუგუჩია, მურმან ნაჭყებია, თამაზ ცანავა, კარლო ვეკუა, გივი სოსელია, ალვერ იზორია, ლევან ბეჭვაია, როლანდ მაქაცარია, ენრიკო ხონელიძე, ვაჟა ფიფია იუწყებიან ყოფილი კომკავშირული, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკის, დამსახურებული პიროვნების

## გურამ ნაჭყებიას

გარდაცვალებას და მწუხარებაში თანაუგრძნობს მის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები თინა ჯღამაძე, ბონდო ჯიქია, გურამ გუნავა, ოთარ ჭითანავა, როზა ჯიქია, იზაბელა ჯანაშია, ნინელი ლაგვილავა, ლამარა ხარჩილავა, ზური გოგოხია, სერგო ცაიშვილი, გული აგუმავა, აივენგო ზარქუა, ვაჟა ფიფია ღრმა მწუხარებით იუწყებიან ყოფილი კომკავშირელის, პარტიული და სამეურნეო მუშაკის, ყველასათვის საყვარელი პიროვნების

## გურამ გრიგოლის ძე ნაჭყებიას

გარდაცვალებას და მწუხარებაში თანაუგრძნობენ მის დიდ ოჯახს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ნათელი სული.

სანთელი

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი თანაუგრძნობს უფროს მეცნიერ თანამშრომელს ქეთევან შალაშვილს მეუღლის, ღვაწლმოსილი, კეთილშობილი პიროვნების

## ესტატე (ესიკო) დანელიას

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ქეთევან შალაშვილი, შვილები დათო, ხათუნა დანელიები, რძალი ნათია ბერენიკაშვილი, სიძე მალხაზ ცქვიტიშვილი, შვილიშვილები დადუ, ლუკა დანელიები, ბუბა, საბა ცქვიტიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ესტატე (ესიკო) დანელია

პანაშვიდი 6 II, გამოსვენება 7 II, 14 საათზე.
მისამართი: ქ.თბილისი, თ.იოსებიძის ქ. №72ბ, მე- 7სადარბაზო, მე-5 სართული.

# აქტიური პროცესები თებერვალში

გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 5-7, 10-13, 17-19, 25-27 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლოა, ციკლონებისა და ქარიშხლების წარმოშობა, ყველა სახეობის ავარიულობის მომატება, სოციუმში დაძაბულობის ზრდა, აგრეთვე სეისმოაქტივობის გაძლიერება.




**5 — ახალმთვარეობა, აპოგეა, ასევე მერწყულის თანავარსკვლავედში მთვარის მერკურთან შეერთება.** ახალმთვარეობა ყველაზე დიდი სულიერი და ფიზიკური სისუსტის დღეა. გონების გაბნეულობასა და რეაქციების შენელებას ავარიის ან ტრავმის გამოწვევა შეუძლია. სავარაუდოა ნერვული სისტემის, თვალებისა და გრძნობის ორგანოთა დაავადებათა გამძაფრება. განსაკუთრებით საზიანოა ალკოჰოლის მოხმარება და სტრესები.

**7 — თევზების თანავარსკვლავედში მთვარის ნეპტუნთან შეერთება.** მომატებულია ინფექციურ და კანის ალერგიულ დაავადებათა გაჩენის ალბათობა. ასევე გამორიცხული არ არის მაღალი ემოციერი დაძაბულობა, რის გამო შესაძლოა ახლობლებთან კონფლიქტების წარმოშობა. სასურველია სპირტიანი სასმელების, ყავისა და ცხიმიანი საკვების მიღებაზე უარის თქმა. ზედმეტად ნუ გადატვირთავთ ღვიძლს, ფეხებსა და სმენის ორგანოებს. სასარგებლო იქნება ტერფების მასაჟი და წყლის პროცედურები. ეცადეთ, ყურადღებით იყოთ, მოერიდეთ არარეალურ იდეებს, ნივთების დაკარგვასა და ტრავმატიზმს.

**10 — ვერძის თანავარსკვლავედში მთვარისა და მარსის შეერთება.** შესაძლოა, თავის ტკივილების წარმოშობა, ტრავმები, აგრეთვე თვალების, კბილებისა და ყურების დაავადებების გაჩენა. გადაღლის მიზეზით სავარაუდოა უძილობა. სასურველია, ძალისა და დასვენების რეჟიმის დაცვა, იმპულსური გადაწყვეტილებებისა და მკვეთრი მოძრაობებისგან თავის შეკავება. უარი თქვით ალკოჰოლის, ყავისა და შოკოლადის მიღებაზე, აგრეთვე თავი შეიკავეთ თამბაქოს მოხმარებისგან.

**11 — ვერძის თანავარსკვლავედში მთვარისა და ურანის შეერთება.** სისხლის მიმოქცევის მოშლის გამო შეიძლება შეგაწუხოთ თავის ტკივილმა, სამწვერა და სახის კუნთის ნევრალგიამ, ასევე უძილობამ. არ არის რეკომენდებული ზედა კბილების ამოღება და პროთეზირება, თმის შეკრეჭა. აუცილებლად მოერიდეთ გადაღლას, აღმგზნებ საშუალებათა და ალკოჰოლის მიღებას, გაუფრთხილდით თვალებს.

**13 — ტყუპების თანავარსკვლავედში მთვარის პირველი მეოთხედი.** საჭიროა გაუფრთხილდეთ ფილტვებსა და ბრონქებს. მოსალოდნელია ოსტეოქონდროზის გამძაფრება, არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლილება. ნერვული სისტემის მდგომარეობა დიდ ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე, ამიტომ საჭიროა მისი მოფრთხილება. სამომავლოდ გადადეთ პარტნიორებთან ურთიერთობების გარკვევა, მოერიდეთ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს. სარგებლის მომტანი იქნება წყლის პროცედურები, სუნთქვითი ვარჯიშები და სეირნობა.

**19 — მზე გადადის თევზების თანავარსკვლავედში, მთვარის პერიგეა, სავსემთვარეობა წყლის თანავარსკვლავედში.** ამ დღეს მოსალოდნელია უძილობა, საერთო სისუსტე. სტრესისა და გადაღლის გამო შეიძლება წარმოიშვას ნერვული აშლილობა, დაირღვას კუჭქვეშა ჯირკვლის, საჭმლის მონელების სისტემის მუშაობა, გარკვეული პრობლემები გაჩნდეს კანთან დაკავშირებით. სარგებლის მომტანი იქნება არომადა ფიზიოთერაპია, ფიზიოთერაპევტული პროცედურები, სეირნობა და ტანვარჯიში.

**26 — მშვილდოსნის თანავარსკვლავედში მთვარის ბოლო მეოთხედი.** სავარაუდოა, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლა, ტკივილები გულის არეში, სახსრებსა და კუნთებში. გამორიცხული არ არის რადიკულიტი და საჯდომის ნერვის ანთება. მოერიდეთ ზედმეტ ფიზიკურ დატვირთვას, გაციებას, ჭარბ ემოციურობას, კონფლიქტებს.

**27 — მშვილდოსნის თანავარსკვლავედში მთვარისა და იუპიტერის შეერთება.** შესაძლოა ღვიძლის, ფილტვების, ასევე ნერვული და სისხლის მიმოქცევის სისტემების დაავადებათა გამძაფრება. მომატებულია უბედურ შემთხვევათა ალბათობა, რეკომენდებული არ არის მძიმე და ცხიმიანი საკვების, აგრეთვე ალკოჰოლისა და ტკბილეულის მოხმარება. ზედმეტად ნუ გადაღლით ფეხებს, მოერიდეთ წელის გაციებას, ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ სუფთა ჰაერზე.

*მილოცვა*

# არა მხოლოდ ჩემდა იმედად!..




ჩემი ცხოვრების უფაქიზეს აზრს, მშობლებთანაც კი მოკრძალებულ ჩემს დედისერთა ქალიშვილს ეკა შენგელიას, რომელმაც ჯერ კიდევ 22 წლის წინათ ესპანურიდან ქართულად დავით კვიცარიძესთან ერთად არცთუ ურიგოდ აამეტყველა იუნესკოს ყოფილი თავკაცის ფედერიკო მაიორის „ოფორტები“ და მის ვაჟს, უკვე ვაჟკაცობაში ფეხშედგმულ ჩემს სეხნიას **სანდრო-ალექსანდრე საკანდელიძეს** ვულოცავ საიუბილეო მრგვალ თარიღებს — 50-სა და 15-ს, რომლებიც ჩემთვის უძვირფასესი თვის — თებერვლის პირველი შვიდეულის პირველ და მეშვიდე დღეს აღინიშნება. ვუსურვებ მათ ყოველივე სიკეთეს ოჯახის მამასთან — ზაალ საკანდელიძესთან და ჩემს უფროს შვილიშვილთან, ჩემი პროფესიის გზაზე დამდგარ უსაყვარლეს ანასთან ერთად.

იხარეთ, იმრავლეთ და იბედნიერეთ ჩემდა, და არა მხოლოდ ჩემდა, იმედად!

მრავალჟამიერ!

**ალექსანდრე შენგელია,**

85 წლისა, მაგრამ სულიერად თქვენი ასაკის მამა და პაპა.

# თევზს ნუ მიეძალებით

**ცხიმიანი თევზის ჭარბად მოხმარება დიაბეტის წარმოშობის საფრთხეს შეიცავს.**



დიაბეტის შეწავლის ევროპის ასოციაციას მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ცხიმიანი თევზის მოხმარება, ნორმალური წონის მქონე ქალებში, მისი წარმოშობის რისკს 50-პროცენტით, მსუქან ქალებში კი 75-პროცენტით ზრდის. თევზის მოხმარების ოპტიმალური სიხშირეა კვირაში ოთხჯერ.

# ისევ ფული სჯობს, თურმე...

**ამერიკელ სტატისტიკოსთა დაკვირვებით ირკვევა, რომ შეძლებული ადამიანები ღარიბებზე 7-10 წლით მეტ ხანს ცოცხლობენ.**

ეს კანონზომიერება მათ ქვეყნის მდიდარ და ღარიბ შტატებში მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და შემოსავლის შეფარდების ერთობლივად განხილვის შედეგად დადგინდა.

დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანები თამბაქოს 4,5-ჯერ უფრო ხშირად ეწევიან, იაფიანი მაღალკალორიული საკვების მოხმარების შედეგად ჭარბი წონის აკრეფის რისკი კი მათში, შეძლებულ თანამოქალაქეებთან შედარებით, 50 პროცენტით მაღალია.

# ტკბილად ძილი უფრო კარგია...

**წყვეტილი ძილი გამოუძინრობის ტოლფასია. მოხალისეთა მონაწილეობით ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ 8-საათიანი ძილის შემდეგ უცბად გაღვიძებული ადამიანების მდგომარეობა იმის ანალოგიურია, რომელშიც ადამიანები არიან დღეღამეში მხოლოდ 3-4 საათის ძილის შემდეგ.**



მკვეთრად გაღვიძებულ ადამიანებში აშკარად იკვეთებოდა უძილობის მახასიათებლები, მათ შორის დეზორიენტაცია, რეაქციისა და ყურადღების დაქვეითება, ცუდი გუნება-განწყობა.

# მგზავრის ბარგში ლეოპარდის ბოკვერი იპოვეს



**ინდოეთის ერთ-ერთ აეროპორტში მგზავრს ბარგში ლეოპარდის ბოკვერი აღმოუჩინეს. უცხოური მედიის ინფორმაციით, მგზავრი ინდოეთში ტაილანდიდან ჩამოფრინდა და უსაფრთხოების კონტროლის გავლისას მებაჟეებმა მამაკაცის ჩანთაში ლეოპარდის ბოკვერი იპოვეს. მებაჟეების ყურადღება მამაკაცმა მანამდეც მიიპყრო, როდესაც მისი ჩანთიდან რაღაც უცნაური ხმები ისმოდა. შედეგად ჩანთაში 1 კგ-მდე ლეოპარდის ბოკვერი აღმოჩნდა.**

45 წლის მამაკაცი უმალვე დააპატიმრეს. ფაქტზე დაწყებულია გამოძიება. სამართალდამცავები ცდილობენ, დაადგინონ, ხომ არ არის დაპატიმრებული მამაკაცი საერთაშორისო კონტრაბანდული ორგანიზაციის წევრი. რაც შეეხება ლეოპარდის ბოკვერს, ის ზოოლოგიურ პარკში გადაიყვანეს.

# ორი თავით, ორი ცხვირით და სამი თვალით...

**ფილიპინებზე გოჭმა, რომელიც ორი თავით, ორი ცხვირით და სამი თვალით დაიბადა ადგილობრივი მაცხოვრებლები გააოცა. გოჭის და მისი პატრონის ვიდეო სოციალურ ქსელში 31 იანვარს გავრცელდა.**

მუტანტი გოჭი სახელად მარა კლარა სულთან-კუდარატის პროვინციაში, სოფელ კალიანში გაჩნდა. ვიდეოში ჩანს რომ გოჭი მის პატრონს ადელინე დალიპეს უჭირავს სოფლის მაცხოვრებლების თვალწინ , შემდეგ კი დედა ღორთან მიჰყავს გამოსაკვებად. დალიპე აღიარებს, რომ მარა კლარას დაბადების შემდეგ დაბნეული იყო, თუმცა მალევე დააფასა მისი უნიკალურობა. **„მე ვფიქრობ, რომ ამ გოჭს გაუმართლა, ის ხომ ასეთი არაჩვეულებრივია. სასწაულია, რომ ის ცოცხალი და ჯანმრთელია. მას სხვა გოჭების მსგავსად ბევრი ენერგია აქვს. მე მას გავუფრთხილდები და ვიზრუნებ.“** — ამბობს გოჭის პატრონი. უცნაური გოჭი ცალკე გალიაში ჰყავთ და მას მუდმივად მეთვალყურეობენ.



მუტაციას, რომელიც გოჭს აქვს პოლიცეფალია ჰქვია. ეს ანომალია გვხვდება ქვეწარმავლებში, ძუძუმწოვრებში და ზოგჯერ ადამიანებშიც. თუ 2 ემბრიონი საშვილოსნოში ბოლომდე ვერ გაიყოფა, ინდივიდს ორი თავი უვითარდება, თუმცა ერთი რესპირატორული და საჭმლის მომნელებელი სისტემა აქვს. როგორც წესი, მსგავსი ანომალიის მქონე არსებები დაბადებიდან მალევე იღუპებიან, თუმცა არსებობენ გამონაკლისებიც.

**წარმატებულო ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო, მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!**

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.6524; ევრო - 3.0365;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4616
100 რუბლი - 4.0431; თურქული ლირა - 0.5033;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5599;
1000 სომხური დრამი - 5.4464.

**ამინდი 6 თებერვლისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -4, | დღე +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -6, | დღე +15 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +6, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე 0, | დღე +19 |
| თბილისი: | ღამე 0, | დღე +12 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge